# საერთო გაზეთი

№32 (582) • 14 ოქტომბერი, 2020წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

# „ნაცმოძრაობა“ არჩევნებიდან უნდა მოიხსნას!!!

## დიდი ღალატის ანატომია



ცხადია, უკიდურესად ალმაშფოთებელია დავით გარეჯთან დაკავშირებული ამბები, თუმცა აქვე ისმის კითხვა: რატომ არ არის საგანგაშო ის ფაქტი, რასაც საქართველოს ტერიტორიის 20%-ის დაკარგვა მოჰყვა? ამ წერილში სწორედ ამ წარმოუდგენელ ღალატზე მოგითხრობთ.

აგეწვათ კუდები,
თქვე კუდიანო ნაცებო?
ჩამოგეხსნათ ნიღაბი,

თქვე ქართული მიწის
გამყიდველებო, თქვე
სამშობლოთი მოვაჭრეებო?!

მარტო დავით გარეჯი კი არა,
ნახევარი საქართველო
გაყიდეთ და გაასხვისეთ,
თქვე არამზადებო!

მხოლოდ 3500 ჰექტარი კი არა,
კოდორის ხეობაც და
სამაჩაბლოც თქვენ გაყიდეთ,
თქვე მოღალატეებო!

მისხალ-მისხალ, გოჯი-გოჯ
დაგეთვლებათ ყველაფერი
და ყველაფერზე
პასუხისმგებლობა
მოგიწევთ!

## ბერი კირიონი:

ჩვენ ბუნებაში არ ზის მტრობა და შუღლი. მაგრამ ჩვენი ტერიტორიები ჩვენი უნდა იყოს



სიმშვიდე შეინარჩუნეთო – გვეუბნებოდნენ და ჩვენც ვერ წარმოვიდგენდით, რომ ჩვენს ხელისუფლებას ჩვენს წინააღმდეგ შეეძლო ემოქმედა

## „ქართულმა ოცნებამ“ რადგან დაიწყო, ბოლომდე უნდა მიიყვანოს საზღვრების საკითხი, თორემ ქვეყანა ღობემორღვეულ ეზოს დაემსგავსა, რომელსაც მეზობლები ნაჭერ-ნაჭერ იტაცებენ



ფართომასშტაბიანი ბნედა „ნაციონალებში“

## ბუბა, თენგო, ქიცი და ქიცმაცური





ოპოზიციას საქართველო სურამის ციხე ჰგონია, რომლის კედლებში ზურაბის ნაცვლად ბიძინა ივანიშვილი უნდათ ჩაატანონ

## ნაცმოძრაობა – მკვლელების დესანტი ჯოჯოხეთიდან

# „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის ბიძინა ივანიშვილის განცხადება



2020 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე დარჩენილია სამი კვირა. ეჭვგარეშეა, რომ ჩვენი ქვეყნის დემოკრატიული წინსვლისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია წინასაარჩევნო კამპანიამ ჩაიაროს მშვიდ გარემოში, თავსმოხვეული აგრესიისა და მღელვარების გარეშე.

მე ვგმობ ყველანაირ ძალადობას, რაც ზიანს აყენებს წინასაარჩევნო პროცესს და დემოკრატიის ხარისხს ქვეყანაში.

ფაქტია, რომ რადიკალურმა ოპოზიციურმა ჯგუფებმა ძალადობა წინასაარჩევნო კამპანიების თანმდევ მოვლენად აქციეს. უკანასკნელ პერიოდში მათი მხრიდან გახშირდა პროვოკაციები, რასაც, რიგ შემთხვევებში, ჩემდა სამწუხაროდ, წამოეგნენ „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებიც. არის საფრთხე, რომ არჩევნების მოახლოებასთან ერთად, ასეთი ხასიათის ძალადობრივი დაპირისპირებები უფრო გახშირდეს.

როდესაც კონფლიქტი ხდება, ძნელია იმის გარჩევა, ვინ არის ინიციატორი და ვინ — პროვოკაციის მსხვერპლი. ეს განსაკუთრებით ძნელია ჩვენი დასავლელი პარტნიორებისთვის, ვინც არჩევნებს აკვირდება და ვისი შეფასებებიც საარჩევნო პროცესის თაობაზე ქვეყნისთვის უკიდურესად მნიშვნელოვანია.

მინდა მაქსიმალური თავშეკავებისკენ მოვუწოდო ყველას, განსაკუთრებით, “ქართული ოცნების” მხარდამჭერებს — ნუ აყვებით პროვოკაციებს, ნუ მივცემთ რადიკალურ ჯგუფებს იმის საშუალებას, რომ დააზიანონ საარჩევნო გარემო და ქვეყნის საერთაშორისო რეპუტაცია.

ძალადობა და ქვის სროლა მათი ხელწერაა, სწორედ ასე მოვიდნენ ისინი თავის დროზე ხელისუფლებაში და დღესაც ასე სურთ გადაფარონ საკუთარი უპერსპექტივობა და გარდაუვალი მარცხი მოახლოებულ არჩევნებში.

ჩვენ ყოველთვის ვემიჯნებოდით ძალადობას. ესაა “ქართული ოცნების” ხელწერა და სწორედ ეს გამოგვარჩევს ჩვენ მათგან.

უდავო ფაქტია, რომ ჩვენ ამჟამად ძალზე მყარი პოზიციები გვაქვს. “ქართული ოცნება” დამაჯერებლად იმარჯვებს ამ არჩევნებში. ყველა კვლევა ადასტურებს, რომ ქართული საზოგადოების უპრეცედენტო მხარდაჭერის ფონზე, ჩვენი საპროგნოზო მაჩვენებელი 54-დან 60%-მდე მერყეობს და რიგ შემთხვევებში, 63%-საც კი აჭარბებს.

შესაბამისად, დღეს ჩვენ ყველანაირი ძალისხმევა უნდა მივმართოთ არა დამატებითი ხმების მობილიზებისთვის, რაც ერთ ან ორ პროცენტში თუ ნახავს გამოხატულებას და არჩევნების შედეგებზე პრინციპულ გავლენას ვერ მოახდენს, არამედ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ არჩევნები მშვიდ და სამართლიან გარემოში ჩატარდეს და მის შედეგებში ეჭვის შეტანა ვერავინ შეძლოს.

ამიტომ, კიდევ ერთხელ მინდა მოვუწოდო საზოგადოებას, განსაკუთრებით “ქართული ოცნების” მხარდამჭერებს, ნუ ავყვებით პროვოკაციებს, გამოვიჩინოთ მაქსიმალური თავშეკავება, მოვთოკოთ ემოციები, რომ მშვიდად მივიდეთ არჩევნებამდე და მშვიდად გავაგრძელოთ ცხოვრება საქართველოს წარმატებისთვის.

®

# ბაკურიანი სრულად იქნება მომზადებული იმისთვის, რომ დავხვდეთ და ევროპულ დონეზე ვუმასპინძლოთ ჩემპიონატს

## საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი გახარიას სიტყვით გამოსვლა ბორჯომში მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის ანტონ ობოლაშვილის წარდგენაზე

დიდი პატივია დღეს ჩემთვის საუბარი აქ, თქვენთან ერთად, ქვეყნის მომავალსა და ბორჯომის განვითარებაზე. ყველა ვხედავდით, რომ მიუხედავად იმ დიდი გამოწვევისა, რომელსაც არა მხოლოდ საქართველო, არამედ გლობალურად ყველანი შევეჯახეთ, რაც ვირუსის გავრცელებას და მასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ კრიზისს ეხება, არც ერთი დღით, არც ერთი საათით ქვეყანაში სისტემური ინფრასტრუქტურული პროექტები არ გაჩერებულა და არც გაჩერდება. ჩვენთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია, თუ როგორი გზები გვექნება, როგორი იქნება ჩვენი წყალმომარაგების სისტემა,



როგორი იქნება გაზიფიცირება, როგორი იქნება საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურა, საბავშვო ბაღები და ა.შ.

ყველას კარგად უნდა გვესმოდეს, რომ როდესაც ვსაუბრობთ არჩევნების შემდგომ პერიოდზე, ვსაუბრობთ კონკრეტულ გეგმაზე, რომელიც შეთანხმებულია უკვე ჩვენს საერთაშორისო პარტნიორებთან, გეგმაზე, რომელიც ითვალისწინებს ამ ეკონომიკური კრიზისიდან სწრაფ გამოსვლას, რომელიც დეტალურად არის გაწერილი და ამ გეგმის მიხედვით, მომავალი 4 წლის განმავლობაში, სისტემურ ინფრასტრუქტურაში ქვეყანაში მინიმუმ 20 მილიარდი ლარი დაიხარჯება. ეს ის ფულია, რომელიც მაგისტრალური გზების წესრიგში მოყვანის გარდა, მოხმარდება შიდა სასოფლო გზებსაც, წყალმომარაგებას, რომელიც უკიდურესად დიდი პრობლემაა. ყველას კარგად გვახსოვს, შარშან ზამთრის სეზონზე რა პრობლემა გვქონდა ბაკურიანში, იგივე ეხება გაზიფიცირებას და ამ მუნიციპალიტეტისთვის გაზიფიცირების შემდგომი განვითარება ასევე კრიტიკულად მნიშვნელოვანია. ჩვენი საშუალო განათლება და მისი ინფრასტრუქტურის მდგომარეობის წესრიგში მოყვანა — სკოლების რემონტი და ახალი სკოლების მშენებლობა, ისევე როგორც საბავშვო ბაღების, ხორციელდება, მაგრამ ჩვენ გვაქვს კონკრეტული გეგმა, მომავალი 4 წლის განმავლობაში, კონკრეტულად სად რა უნდა გაკეთდეს.

მაგალითისთვის, შარშანდელი შემთხვევის შემდგომ ბაკურიანში უკვე დაიწყო როგორც სათავო ნაგებობის, ასევე წყლის კიდევ ერთი რესურსის მოძიების სამუშაოები. წელს უკვე 10 მლნ დაიხარჯა ამ პროექტში და 2021 წლის სეზონისთვის ეს პროექტი დასრულდება. ბაკურიანში წყლის პრობლემა არ უნდა არსებობდეს.

ყველას კარგად გვესმის, რომ ბაკურიანში მუნიციპალური ტრანსპორტი, იქიდან გამომდინარე, რომ ტურისტების რაოდენობა ყოველწლიურად იმატებს, აუცილებლად მოსაგვარებელია და წელსაც სეზონის დაწყებამდე მოესწრება სპეციალური, 10 ავტობუსი, რომელიც შესაძლებლობას აძლევს მოთხილამურეებსაც, აღჭურვილობა თან ატარონ.

ნაბიჯ-ნაბიჯ ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ როდესაც ბაკურიანში ჩემპიონატი ჩატარდება, ბაკურიანი სრულად უნდა იყოს მომზადებული იმისთვის,



რომ ევროპულ დონეზე დავხვდეთ და ვუმასპინძლოთ ამ ჩემპიონატს. ეს ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ ბორჯომში, ბაკურიანში ჩვენ ცხოვრების ისეთი პირობები შევქმნათ, რომ ადამიანს არ ჰქონდეს აუცილებლობა საცხოვრებლად არათუ თბილისში არ გადავიდეს, არამედ, ელემენტარული სახელმწიფო სერვისებიც აქ მიიღოს, ისეთი სერვისები, რომელსაც ვაწვდით „აწარმოე საქართველოში“ თუ სოფლის მეურნეობის სხვადასხვა პროგრამით. ეს ძალზედ მნიშვნელოვანია, რადგან ყველა კარგად ვხედავთ, როგორც ბორჯომში, ასევე ბაკურიანში ახალი სასტუმროების გახსნის რაოდენობას.

ძირითადი მიზანი არის ის, რომ სწრაფად დავიწყოთ ეკონომიკის აღდგენა და სწრაფად აღვადგინოთ სამუშაო ადგილები. მიუხედავად იმისა, რომ მძიმე ეკონომიკურ და მძიმე ეპიდემიოლოგიურ მდგომარეობაში გვიწევს 31 ოქტომბრის არჩევნების ჩატარება, წყნარად, მშვიდად, იმ მხარდაჭერის გათვალისწინებით, რომელიც ჩვენი მოქალაქეებისგან გვაქვს, რაც მთავარია, ღირსეულ, სამართლიან, მშვიდობიან, ყველა სახის ძალადობისგან თავისუფალ გარემოში უნდა გავიმარჯვოთ. ბორჯომელებო, გისურვებთ ამ გამარჯვებას!

®

„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ტაშკენტის ქ. 18;
ტელ.: 593 44 04 01; 593 56 11 18.
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის პადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

# სხვა დანაშაულებებს რომ თავი დავანებოთ, თუნდაც მხოლოდ დავით გარეჯის გამო, „ნაცმოძრაობა“ არჩევნებიდან უნდა მოიხსნას!!!

*გვესაუბრება „იბერიულ-კავკასიური მოძრაობის“ თავმჯდომარე ბესო მიქავა:*

**— ბატონო ბესო, თქვენ, ალბათ, მოისმინეთ პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნების“ ლიდერის ბიძინა ივანიშვილის გამოსვლა პარტიის ანგარიშის წარდგენისას. რა შთაბეჭდილება დაგრჩათ. რას იტყვით ამ გამოსვლის შესახებ?**

— დიახ. მოვისმინე და თავიდანვე მინდა ხაზი გავუსვა მის მოსაზრებას იმაზე, რომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოში არ ყოფილა მშვიდობა.

მანვე გაიხსენა სამხედრო გადატრიალება — პუტჩი და აღნიშნა ისიც, რომ პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია მოკლეს.

ის იცნობს საქმის მასალებს,



სხვა შემთხვევაში, ამას არ იტყოდა და თუ იცნობს მასალებს და იცის, რომ პრეზიდენტი მოკლულია, მაშინ მმართველმა პარტიამ შესაბამისი პოლიტიკური შეფასება და რეაგირება უნდა მოახდინოს ამაზე. მეტიც, ყველაფერი ეს ხელისუფლებამ არჩევნებამდე უნდა გააკეთოს, ამით ხელისუფლება აჩვენებს და ცხადყოფს, რომ მას სურს დანაშაულებრივი სისტემის ცვლილება.

დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტის — ზვიად გამსახურდიას ძეგლი თბილისში აუცილებლად უნდა იდგეს. ეს ძეგლი უნდა აღმართულიყო მთავრობის სახლის წინ 9 აპრილის მემორიალთან ერთად, კომპლექსში, რათა იქ სხვა მოთხოვნები ვერავის წამოეყენებინა ეროვნული ხასიათის მოთხოვნების გარდა.

რაც შეეხება მკვლელობის საკითხს. პროკურატურამ ზვიად გამსახურდიას მკვლელობის საკითხი გადაავადა 25-წლიანი ხანდაზმულობით, რაც წარმოუდგენელი ფაქტია.

ეს არ არის უბრალო საკითხი. ეს ქვეყნისთვის მეტად მნიშვნელოვანი თემაა და არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მთელ კავკასიას ეხება.

მკითხველს, ალბათ, ახსოვს ჩემი ინტერვიუები, სადაც ვამხელდი ყოფილ პრემიერს გიორგი კვირიკაშვილს. მისი ბანდა კვლავ ცდილობს შეძვრეს ხელისუფლებაში. კვირიკაშვილმა თავის დროზე მსტოვრები შეგზავნა „ოცნებაში“, ნაცებში, თავისთავად, ისედაც არიან და დღეს ჩვენ საქმე გვაქვს, ისევ ვიმეორებ: „თბილისურ მაფიასთან“ და მის ე.წ. ბოსთან — ხაზარაძესთან. ეს კაცი უკვე იღებს მონაწილეობას არჩევნებში და აპირებს ხელისუფლებაში თავისი წარმომადგენლობა შეიყვანოს, მაგრამ ნაცები და მათი განაყოფებიც ხომ მათია?! მაფიას სურს ხელში ჩაიგდოს ქვეყნის მმართველობა. როდესაც პრემიერ-მინისტრის დანიშვნის საკითხი დადგება, შეიძლება, ისეთი ვინმე აღმოჩნდეს იმ პასუხსაგებ პოსტზე, რომლის სახელი და გვარი ჯერ კიდევ კულისებშია. ფაქტია, რომ ასეთ კანდიდატურას ამზადებენ...

ხელისუფლების მხრიდან შესაბამისი რადიკალური გადაწყვეტილებები უნდა იქნას მიღებული, თორემ „თბილისური მაფია“ „ქართულ ოცნებას“ შეჭამს და ისე გააკეთებს ამას, რომ გონზე მოსვლასაც ვერ მოახერხებენ.

**— სხვათა შორის, ბატონო ბესო, არა მხოლოდ ბიძინა ივანიშვილმა გამოთქვა ყოფილ ხელისუფალთა მიმართ კრიტიკა, გიორგი გახარიამაც მისცა შეფასება წინა ხელისუფლების ქმედებებს და თქვა: ნაციონალები დამნაშავეები არიან, ჩვენ მათ პარპაშს დავამთავრებთ მოახლოებულ არჩევნებზეო.**

— მე უფრო მეტს გეტყვით. არჩევნებში მონაწილე სუბიექტების უმრავლესობა კრიმინალია. მათ შორის, ე.წ. ზვიადისტების ერთი ჯგუფიც, კერძოდ, გოჩა ბახია.

მე მინდა მივმართო ცენტრალურ საარჩევნო კომისიას და ქალბატონ თამარ ჟვანიას: გოჩა ბახია იურიდიულად არის დამნაშავე. ის არ გაუმართლებია სასამართლოს. ეს ადამიანი ციხიდან გამოვიდა საპროცესო შეთანხმებით, რაც ნიშნავს იმას, რომ მის წინააღმდეგ თაღლითობის მუხლი კვლავ ძალაშია.



მე მალე გამოვაქვეყნებ დოკუმენტს, რომელიც ამტკიცებს, რომ გოჩა ბახია არის სანკტ-პეტერბურგის მოქალაქე.

ამასთანავე, უკვე გაცხადდა, როგორ დამალეს რუკები ნაციონალებმა და ამის შედეგად როგორ მოხდა გარეჯში მიწების გასხვისება. ეს არის ფაქტი, დანაშაული სახელმწიფოს წინაშე, მხოლოდ ამის გამო თუნდაც, უნდა მოიხსნას „ნაცმოძრაობა“ არჩევნებიდან. აქვე არ შემიძლია არ ვთქვა: „ნაცმოძრაობის“ საარჩევნო სიის პირველი ნომერი — ბუბა კიკაბიძე 90-იანებში ავტომატასხმული დარბოდა თბილისის ქუჩებში და მიტინგის მონაწილეებს ესროდა.

ასე რომ, მმართველმა პარტიამ და ბიძინა ივანიშვილმა მკვეთრი ნაბიჯები უნდა გადადგან 31 ოქტომბრამდე.



**—პარალალურად მწვავე საომარი დაპირისპირება მიმდინარეობს ჩვენს მეზობლად — ომია სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის. ხომ არ შეიძლება ეს კონფლიქტი დიდ სახელმწიფოთა დაპირისპირებაში გადაიზარდოს და საფრთხე საქართველოსაც დაემუქროს?**

— თავის დროზე ედვარდ შევარდნაძე და ჰეიდარ ალიევი ახლო მეგობრები იყვნენ. ის, ისევე, როგორც შევარდნაძე, რუსეთის კგბ-ს თანამშრომელი იყო. ეს დამტკიცებულია და ამაზე აღარავინ დაობს. სააკაშვილმაც გააგრძელა იგივე ხაზი და და ალიევის ძეგლები წამომართა თბილისში, ერთი დიდი ქუჩაც ალიევის სახელისაა. დიდი ძეგლი დგას რუსთავში — ტახტზე ზის ჰეიდარ ალიევი და ქვემოთ წარწერა ამშვენებს: პრეზიდენტი ჰეიდარ ალიევი და არაა მითითებული, ვისი პრეზიდენტია ეს კაცი. ხდება აზერბაიჯანული და თურქული გავლენებისთვის ძირების და ფესვების ჩაყრა, მოსახლეობისთვის თვალის შეჩვევა და ისტორიის შექმნა. თუ ეს შევარდნაძის ძმაკაცობით მოხდა, რატომ არ დგას შევარდნაძის ძეგლი ცალკე ბაქოში?

მე ავტეხე პირველმა ამაზე განგაში და ვთქვი: თუ საქართველოში არ უნდა იდგეს, მაგალითად, ბერიას ძეგლი, მაშინ რატომ უნდა იდგეს რუსეთის კგბ-ს გენერლის ალიევის ძეგლი?!

რაც შეეხება დავით გარეჯს. ეს ტერიტორია იმ ადგილებში ყველაზე მაღალია, რის გამოც სტრატეგიულად მომგებიანი გახლავთ. ამიტომაც ჰყავდა იქ რუსებს თავისი ჯარი. მაგრამ საქმე ისაა, რომ აზერბაიჯანს პრეტენზია აქვს მთელი კავკასიის ფლობაზე, ამას არც მალავენ და პლუს ერდოღანის განცხადებები, როცა ამბობს: ბათუმი თურქეთისაა, აჭარა — ჩვენიაო, სკოლებშიც ასწავლიან ამას.

პარტია „ევროპული საქართველოს“ წევრი ტარიელ ნაკაიძე პროთურქული ორიენტაციის პირია და იგი ამას ღიად აფიქსირებს.

ეს არის გეგმა, რომელიც დიდი ხანია არსებობს და მის განხორციელებას ხელს უმართავდა სააკაშვილიც.

დავით გარეჯი სააკაშვილმა გადასცა აზერბაიჯანელებს, მაგრამ კიდევ ვიმეორებ: ამ ხელისუფლებას რომ უნდოდეს და მოინდომოს, არქივში მოიძიებს დოკუმენტებს, რომლებიც დაადასტურებენ, რომ სულ ახლახან, გასული საუკუნის თითქმის ბოლომდე, დავით გარეჯი იყო საქართველოს კულტურის სამინისტროს დაქვემდებარებაში.

რაც ეხება სომხებს, მათზე არაერთხელ მისაუბრია, ინტერვიუების ციკლი მაქვს თქვენს გაზეთში გამოქვეყნებული და ახლა აღარ გავიმეორებ. ერთს შეგახსენებთ მხოლოდ: არმენებს და არა სომხებს, სურთ არა მხოლოდ აზერბაიჯანის ტერიტორიები, არამედ მთლიანად საქართველო.

ფაშინიანს რა კავშირები აქვს კრემლთან, ყველამ კარგად იცის და როგორ წარმოგიდგენიათ, კონფლიქტის ესკალაცია მაინცდამაინც ახლა რატომ მოხდა? პუტინი



არ იყო საქმის კურსში, რომ კავკასიაში ასეთი ომი მზადდებოდა? — დაუჯერებელია.

საქმე ისაა, რომ ეს ომი სპეციალურად იქნა პროვოცირებული



თურქეთის ჩასათრევად მსხვილმასშტაბიან საომარ კონფლიქტში.

თურქეთი აცხადებს, რომ მხარს უჭერს აზერბაიჯანს.

როგორც იცით, აზერბაიჯანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა. ამავე დროს ის გახლავთ დსთ-ს წევრი. როცა უცხო ქვეყნები სომხეთს და აზერბაიჯანს მოუწოდებენ: შეიკრიბეთ და დაჯექით მოლაპარაკების მაგიდასთან რუსეთშიო, სულ მაგიდასთან არ სხედან ერთად სომხეთი და აზერბაიჯანი დსთ-ს წევრ სახელმწიფოებთან?!

თურქეთმა ისედაც ბევრი ქვეყანა გადაიმტერა: რუსეთი, ინგლისი, ამერიკა, ისრაელი — მისი მოწინააღმდეგეები არიან. ახლა თურქეთს სურს უპირატესობა დაამტკიცოს კავკასიაში, რაც მისი მხრიდან, ჩემი აზრით, არის დიდი სიბრიყვე. ირგვლივ პრობლემებში იხრჩობა და აზერბაიჯანის დახმარება შეუძლია ახლა თურქეთს? მეტი არაა ჩვენი მტერი.

თურქეთს სურს პოლიტიკური რეანიმაცია.

ის სასტიკად დამარცხდა სირიაშიც. თურქეთი გაწირეს. დიახ, მისი განადგურება არაა მხოლოდ კრემლის გადაწყვეტილება. თურქეთის წინააღმდეგ ამერიკის, ინგლისის, ისრაელის, რუსეთის ინტერესები ემთხვევა. მისი გემი იძირება.

კავკასიაში ყველამ მოიმტვრია ფეხი. აქ ყველა იმპერია დამარცხდა და ასე იქნება კვლავაც.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

# დიდი ღალატის ანატომია
## სამ ნაწილად და რამდენიმე ეპიზოდად

### მიხეილ სააკაშვილი სამხედრო დამნაშავე და სამშობლოს მოღალატეა



**ვახტანგ ხარჩილავა:**

სააკაშვილი და „ნაცმოძრაობის“ სხვა ლიდერები ხშირად იმეორებენ, რომ 2008 წლის აგვისტოში რუსეთმა პროვოკაციაზე წამოაგო საქართველოს ხელისუფლება და აიძულა ის ომში ჩართულიყო, მაგრამ იმ ნაბიჯებს თუ გავიხსენებთ, რასაც საქართველოს ხელისუფლება ომის დაწყებამდე დაახლოებით წელიწადნახევრის განმავლობაში დგამდა, ჩნდება საფუძვლიანი ეჭვი, რომ ეს პროვოკაცია გაცილებით ადრე დაიგეგმა და მის განხორციელებასა და აღსრულებაში მთავარი როლი სწორედ „ნაცმოძრაობამ“, ანუ საქართველოს ხელისუფლებამ ითამაშა.

მოგმართავთ თქვენ, ვისაც მტკიცედ გჯერათ, რომ „ნაცმოძრაობა“ და მისი ბელადი 3500 ჰექტარი ქართული მიწის და დავით გარეჯის კომპლექსის (მისი ერთი ნაწილის) გასხვისებას არ იკადრებდა!

იცით, რა გითხრათ, პატივცემულებო — თუ კოდორის ხეობის და სამაჩაბლოს გაყიდვა იკადრეს, რაღაც 3500 ჰექტარის გაყიდვას რატომ არ იკადრებდნენ — სინდისი შეუშლიდათ ხელს თუ პატრიოტული გრძნობები არ მისცემდა ამის გაკეთების საშუალებას.

ცხადია, უკიდურესად აღმაშფოთებელი და საგანგაშო ფაქტია ის, რასაც საქართველო-აზერბაიჯანის სასაზღვრო ზოლის თემასთან დაკავშირებით ვისმენთ და რაზეც საქართველოს პროკურატურამ გამოძიება დაიწყო, თუმცა აქვე ისმის კითხვა: რატომ არ არის საგანგაშო და აღმაშფოთებელი ის ფაქტი, რასაც საქართველოს ტერიტორიის 20%-ის დაკარგვა მოჰყვა?

თუ ჰექტრობით გავზომავთ, ეს 20%-ი 3500 ჰექტარზე გაცილებით მეტია, რამდენჯერმე მეტი და თავისი მნიშვნელობითაც არანაკლებ მნიშვნელოვანი, ვიდრე აზერბაიჯანის საზღვრის მონაკვეთი.

მაშ რატომ დარჩა ეს საკითხი ყურადღების მიღმა და რატომ არავის აუტეხია განგაში ერთ-ერთ ყველაზე შემზარავ ღალატზე, რომელსაც თავისი ცინიზმით და უტიფრობით საქართველოს არსებობის მანძილზე ანალოგი არ მოეძებნება.

აზერბაიჯანის სასაზღვრო ზოლთან და დავით გარეჯთან დაკავშირებული ისტორია ნაწილია, ფრაგმენტია იმ ისტორიისა, რომელსაც დიდი ღალატის ისტორია ჰქვია და რომელსაც შეეწირა კოდორის ხეობა, სამაჩაბლო, რასაც აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად გამოცხადება მოჰყვა.

ეს ერთი ისტორიაა, ეს ღალატისა და გამყიდველობის ერთი ჯაჭვია.

დრო მოვა, დღეს ფრაგმენტებად დანაწევრებული ეს დანაშაულებრივი ფაქტები ერთ საქმედ გაერთიანდება და ერთ საერთო საბრალდებო დასკვნად დაიდება, რომელშიც ბოლომდე იქნება მხილებული ის დანაშაულებრივი ჯგუფი, რომელიც, ბედის ირონიით, დროის რაღაც მონაკვეთში სახელმწიფოს მართვის სათავეებთან მოექცა და უდიდესი ზიანი მიაყენა ქართულ სახელმწიფოს.

ახლა კი გთავაზობთ ფრაგმენტებს წერილიდან „დიდი ღალატის ანატომია“ („სგ“ N30-31. 2017 წ).

**2006 წლის შემოდგომიდან საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ცდილობს კოდორის ხეობას სახელი შეეცვალოს და ეწოდოს ზემო აფხაზეთი, ხოლო ე.წ. სამხრეთ ოსეთს, ასევე ხაზგასმულად, ყოველგვარი ეგრეთ წოდებულის გარეშე, სისტემატურად მოიხსენიებს სამხრეთ ოსეთად**, მიუხედავად იმისა, რომ ზვიად გამსახურდიას დროინდელი უზენაესი საბჭოს მიერ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი უკვე 17 წელია გაუქმებულია და ის, როგორც ადმინისტრაციული ერთეული, ქართულ სახელმწიფოში საერთოდ არ არსებობს.

მიხეილ სააკაშვილმა თითქოს არც იცის ეს ამბავი და წარამარა იმეორებს სახელწოდებას – **სამხრეთ ოსეთი**.

პარალელურად გრძელდება კოდორის (დალის ხეობის) ზემო აფხაზეთად მოხსენიება, თუმცა ამ ხეობას საქართველოს ისტორიის არც ერთ მონაკვეთში ზემო აფხაზეთი არ რქმევია.

მიხეილ სააკაშვილი ყოველგვარი ახსნა-განმარტების, ყოველგვარი დასაბუთების და მოტივაციის გარეშე ჯიუტად აგრძელებს სამაჩაბლოს სამხრეთ ოსეთად და კოდორის ხეობის ზემო აფხაზეთად სახელწოდებების დასახელებას, რითაც მიზანმიმართულად ცდილობს, საზოგადოებას ყური გაუხედნოს ამ ახალი ტერმინებით.

არსებობს უამრავი საარქივო მასალა – მიხეილ სააკაშვილის სატელევიზიო გამოსვლები, ინტერვიუები, სააკაშვილის განცხადებები სამთავრობო სხდომებზე და ასე შემდეგ, რომლებშიც დოკუმენტურად არის ასახული და დაფიქსირებული ის, რაც ზემოთ ვთქვით.

სამწუხაროდ, ამ აშკარად საეჭვო, აშკარად ანტისახელმწიფოებრივი ხასიათის პიარ-კამპანიას არც საზოგადოების მხრიდან მოჰყოლია დიდი პროტესტი და არც პოლიტიკური წრეებიდან.

ცხადი იყო, სააკაშვილს რაღაც სერიოზული ჩანაფიქრი ჰქონდა, მაგრამ არც მას აუხსნია და არც სხვები ჩაძიებიან, რას ემსახურებოდა ეს ჩანაფიქრი, რა იყო ამ ჩანაფიქრის მთავარი დედააზრი და რით იყო ის სასარგებლო და აუცილებელი ქართული სახელმწიფოსთვის?!

ამ კითხვებზე პასუხი, რაც არ უნდა უცნაურად მოგეჩვენოთ ეს, მხოლოდ 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ გაიცა, როცა „ნაციონალების“ მიერ წინასწარ მომზადებული იურიდიული დოკუმენტაციის საფუძველზე, ფაქტობრივად, მოიხსნა ყველანაირი სამართლებრივი ბარიერი, რაც მანამდე აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ცნობას ხელს უშლიდა.

●

2007 წლის 10 მაისის დადგენილებით, რომელსაც ხელს მიხეილ სააკაშვილი აწერს და რომელიც შემდეგ საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა, შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია, სადაც სულ მალე არჩევნები ჩატარდა და ამ ახლად მოვლენილი სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტად, არა ხელმძღვანელად, არა ადმინისტრაციის უფროსად, არამედ, ხაზს ვუსვამ, პრეზიდენტად, არჩეული იქნა დიმიტრი სანაკოევი.

თუმცა დაგვავიწყდა გვეთქვა, რომ სანამ ქართველთმოძულეობაში ეჭვმიტანილი დიმა პრეზიდენტი გახდებოდა, მანამდე, ზემოთნახსენები დადგენილებით, სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციაში შეყვანილი იქნა ახალგორის რაიონიც.

ახალგორთან დაკავშირებით კიდევ ერთ, უაღრესად საინტერესო და საყურადღებო დეტალს გაგახსენებთ.

**გასული საუკუნის 90-იან წლებში, როცა საბჭოთა კავშირი ჯერ კიდევ არსებობდა, ხოლო საქართველოს ცეკას მდივანი გივი გუმბარიძე იყო, ეროვნული მოძრაობისა და ახალგორის რაიონის ქართველობის დაჟინებული მოთხოვნით ახალგორი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს გამოეყო, ანუ ახალგორი ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს უკვე აღარ შედიოდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, რომელიც, როგორც ზემოთ ვთქვით, მოგვიანებით საერთოდ გააუქმა საქართველოს უზენაესმა საბჭომ.**

აი, ასეთი ისტორიის მქონე რეგიონი, ახალგორი, თავის ქსნის ხეობიანად, რომელიც მთლიანად ქართველებით იყო დასახლებული, „ნაციონალურმა მოძრაობამ“, საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მეთაურობით და საქართველოს პარლამენტის მხარდაჭერით, აიღო და მათ მიერვე შეკოწიწებული სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციაში წიხლებით შეტენა, პრეზიდენტად კი ათას ავტომატზე გადამხტარი დიმა დაასვა თავზე!

საქართველოს ხელისუფლება, საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტიო, კი ვთქვით, მაგრამ რამდენად გამართლებულია ამის ჩამდენი ადამიანები საქართველოს ხელისუფლებად, საქართველოს პრეზიდენტად ან საქართველოს პარლამენტის წევრებად მოვიხსენიოთ?

იქნებ, ვინმემ მითხრას, იქნებ, ვინმემ ამიხსნას, რა მიზნებს, რა სახელმწიფოებრივ ინტერესებს ემსახურებოდა სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის შექმნა და ახალგორის რაიონის ამ ადმინისტრაციის საზღვრებში შეყვანა, რითაც

















ე.წ. სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის საზღვრები სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის იმ საზღვრების მონახაზში ჩაჯდა, რაც ამ ოლქს საბჭოთა კავშირის დროს ჰქონდა?

შემთხვევით, არა საბჭოთა კავშირის დროინდელ, არამედ „ნაცმოძრაობის“ ხელისუფლების და მისი ლიდერის სააკაშვილის მიერ „დახატულ“ ახალ რუკას ხომ არ გვიფრიალებენ რუსები ცხვირწინ, სადაც ნათლად და მკვეთრად ჩანს ის საზღვრები, რომლითაც ე.წ. სამხრეთ ოსეთი ნამდვილ და რეალურ სამხრეთ ოსეთად აქცია საქართველოს ხელისუფლებამ.

**ერთმა ფრანგმა დიპლომატმა ახალგორის მოსახლეობას ასეთი რამ უთხრა: ევროპა და ევროკავშირი რით და როგორ უნდა დაგეხმარონ, როცა თქვენს ხელისუფლებას დოკუმენტურად, იურიდიული ნორმების სრული დაცვით უღიარებია სამხრეთ ოსეთის არსებობაო?!**

**კიდევ ერთხელ ვსვამ კითხვას: „ნაცმოძრაობამ“ შიდა ქართლის ეს უძველესი ქართული ტერიტორიები ოფიციალურად სამხრეთ ოსეთად რომ გადანათლა, რა ჰქვია ყოველივე ამას, თუ არა ღალატი?**

ტერმინ სამხრეთ ოსეთის ოფიციალურად დაკანონების პარალელურად იმაზეც იზრუნეს, რომ წილკნის ეპარქია ცხინვალის ეპარქიას გადასცემოდა.

**თითქმის იდენტური მეთოდებით იმუშავა ნაცების ხელისუფლებამ კოდორის ხეობასთან მიმართებაში – კოდორის ხეობას სახელი გადაარქვა, მას ზემო აფხაზეთი უწოდა, ადგილობრივი მოსახლეობა კი, რომელიც წლების განმავლობაში გმირულად იცავდა ხეობას, განაიარაღა, რის შემდეგაც 2008 წელის ამ აუღებელი, სტრატეგიულად ურთულესი ხეობის აღება მტერმა თითქმის უბრძოლველად, ყოველგვარი დანაკარგების გარეშე შეძლეს.**

გავრცელებულ ხმებს თუ დავუჯერებთ, კოდორის ხეობის უბრძოლველად გადაცემაში ქართულმა მხარემ დიდი ფული აიღო. სახელდებოდა ციფრი – 50 მილიონი დოლარი, სახელდებოდნენ პირები, რომლებიც ამ ფინანსურ გარიგებაში მონაწილეობდნენ, სახელდებოდნენ შუამავლები და ა. შ. თუმცა ეს ყველაფერი არც მაშინ და არც შემდეგ, სათანადო გამოძიების საგანი არ გამხდარა.

**სანამ 2008 წლის აგვისტოს ომი მოხდებოდა, „ნაცმოძრაობის“ ხელისუფლებამ, აბსოლუტურად გაუგებარი და ლოგიკას მოკლებული ქმედებებით, პოზიციები განუმტკიცა არა ქართულ სახელმწიფოს, არამედ აფხაზ და ოს სეპარატისტებს.**

იქმნება შთაბეჭდილება, რომ „ნაცმოძრაობა“ სეპარატისტული რეგიონებისთვის წინასწარ ქმნის ისეთ დოკუმენტებს, რომლებიც მათ დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარებას გააადვილებს.

საქართველოს ხელისუფლების თავდადებული მეცადინეობით, სამხრეთ ოსეთი ქაღალდზე უკვე არსებობს, ზედ ქართული სახელმწიფოს ბეჭედი აქვს დასმული და პრეზიდენტის ხელმოწერაც ამშვენებს, კოდორის ხეობას უკვე ზემო აფხაზეთი ჰქვია და ესეც სათანადოდ არის დამოწმებულ-დაკანონებული, ახლა საჭიროა ერთი პატარა, ლოკალური ხასიათის ომი, რომ ეს ტერიტორიები მოწინააღმდეგე მხარემ გადაიბაროს და გადაიფორმოს.

დოკუმენტები უკვე მზად არის. ახლა ომი უნდა მოხდეს!..

და ეს ომიც მოხდება...

●



მიუხედავად იმისა, რომ საქართველოსთვის, თითქმის 25 წელიწადია, მთავარი ამოცანა, მთავარი დევიზი, მთავარი მიზანი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაა, იმ დოკუმენტებით, რომლებიც „ნაცმოძრაობამ“ შექმნა, ტერიტორიული მთლიანობა აღიდგინა არა საქართველომ, არამედ ტერიტორიული მთლიანობა თავიანთი ყოფილი ადმინისტრაციული საზღვრების ფარგლებში აღიდგინეს სეპარატისტულმა რეგიონებმა – აფხაზეთმა და ე.წ. სამხრეთ ოსეთმა!

არ არის ეს გამაოგნებელი პარადოქსი, როცა „ნაცმოძრაობა“, გარე ოკუპანტის გამოჩენამდე, თვითონ მოგვევლინა შიდა ოკუპანტის როლში და შიდა ქართლი სამხრეთ ოსეთად გამოაცხადა, კოდორის ზეობა – ზემო აფხაზეთად და ეს ყველაფერი ოფიციალურად გააფორმა.



**„ნაციონალებო“, სახელშეცვლილო „ნაციონალებო“, „ნაციონალების“ ბიძაშვილ-მამიდაშვილო პარტიებო, დღეს მავთულხლართების გასწვრივ რომ დაბორიალობთ და პატრიოტობანას თამაშობთ, სად იყავით მაშინ და რატომ არ იღებდით ხმას, როცა აგვისტოს ომამდე გაცილებით ადრე „ნაცმოძრაობის“ ხელისუფლება და მისი ბელადი ქაღალდზე ავლებდა საზღვრების აღმნიშვნელ ხაზებს, რომლებსაც მოგვიანებით აუცილებლად გამოჰყვებოდა ნამდვილი საზღვარი – თავისი მავთულხლართებით, ბანერებით, მესაზღვრეებით, სამხედრო ტექნიკით.**

„ნაციონალებო“, სახელშეცვლილო „ნაციონალებო“, „ნაციონალების“ ბიძაშვილ-მამიდაშვილო პარტიებო, გიფიქრიათ თქვენ ოდესმე, რატომ არ აღიარა რუსეთმა აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად 2008 წლის აგვისტოს ომამდე და რატომ აღიარა მაინცდამაინც ამ ომის შემდეგ?

რატომ და იმიტომ, რომ ამ ომამდე საქართველო აკონტროლებდა ამ სეპარატისტული რეგიონების ტერიტორიების ნაწილს, ომის შემდეგ კი ამ რეგიონებმა აღიდგინეს ტერიტორიული მთლიანობა თავიანთი ადმინისტრაციული საზღვრების ფარგლებში, ამ საზღვრების დაფიქსირებასა და დაკანონებაში კი, რაც არ უნდა გასაკვირი იყოს ეს, მათ საქართველოს ხელისუფლება ჯერ იურიდიული დოკუმენტაციის მომზადებით, მოგვიანებით კი დამარცხებისთვის განწირულ ომში ჩაბმით დაეხმარა, რომლის შედეგებიც ნებისმიერმა ოდნავ გონიერმა ადამიანმა წინასწარ იცოდა, ოღონდ, რატომღაც არ იცოდა საქართველოს ხელისუფლებამ.

ნაცები დღეს ნიანგის ცრემლებს აღვარღვარებენ აგვისტოს ომში დაღუპული ქართველი ჯარისკაცების საფლავებზე და მრისხანედ შემართული მუშტებით ოკუპაციას აპროტესტებენ.

კი, მაგრამ, თქვენ თვითონ არ ხართ ამ ოკუპაციის თანაავტორები და ოკუპანტების ბიზნესპარტნიორები?

თქვენ არ ხართ ის ადამიანები, რომლებმაც აგვისტოს ომის დაწყებამდე ერთი წლით ადრე ახალი „სამხრეთ ოსეთი“ რომ შექმენით, შიგ ახალგორი და ქართველებით დასახლებული ქართული სოფლები რომ შეტენეთ, კოდორის ხეობას ზემო აფხაზეთი დაარქვით, ყველაფერი ეს იურიდიულად და სამართლებრივად რომ გააფორმეთ და ოს და აფხაზ სეპარატისტებს საქართველოს პარლამენტის მიერ დამოწმებულ-დაკანონებული დოკუმენტების სახით რომ დაულაგეთ წინ?

რა მნიშვნელობა აქვს, რატომ გააკეთეთ ეს – სიბრიყვის გამო, პარანოიკული ხილვების მოძალების გამო, დიდი ფულის გამო, თუ იმის გამო, რომ თქვენი სულმდაბლური და მოღალატური ბუნების წყალობით ჩუმად და მალულად მუდამ იმათ ემსახურებოდით, ვისაც ვითომ ებრძოდით?

**რაც თქვენ გააკეთეთ, „ნაციონალებო“, სამშობლოს ღალატია ეს და, წესით და რიგით, ბევრი თქვენგანი, თქვენი ბელადის მეთაურობით, ზუსტად ამ ბრდალდებით უნდა იხდიდეს სასჯელს, თქვენ კი კვლავ პარლამენტში ზიხართ, სახელმწიფო სტრუქტურებში მიძვრებით, ქართველ ხალხს ახალ-ახალი დაპირებებით ურეცხავთ ტვინს და, რაც მთავარია, იმდენად უტიფრები და სინდისგარეცხილები ხართ, ყოველივე იმის შემდეგ, რაც გააკეთეთ –კვლავ ხელისუფლებაში აპირებთ დაბრუნებას.**

რა იყო, კიდევ დარჩა რაიმე ამ თქვენგან გაუბედურებულ ქვეყანაში გასაფუჭებელი, გასათახსირებელი, გადასაფორმებელი და ამიტომ ცდილობთ უკან მობრუნებას?

●

„ნაციონალები“ უკიდურესად ღიზიანდებიან, როცა 2008 წლის აგვისტოს ომის და იმ მოვლენების შესახებ საუბარი, რომლებიც ამ ომს წინ უძღოდა, იმ სტერეოტიპული კლიშეებით და იმ კალაპოტით არ მიდის, რომლებიც მათ დაამკვიდრეს.

მათ ხელს არ აძლევთ ამ ტრაგიკული მოვლენების პირუთვნელი და მიუკერძოებელი ანალიზი, არა იმიტომ, რომ საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს სახელს უფრთხილდებიან, არამედ იმიტომ, რომ პირველ ყოვლისა, საკუთარი თავი ედარდებათ, რადგან იციან, ამგვარი დეტალური ანალიზის შემთხვევაში აუცილებლად გამოიჩხრიკება ის ცოდვები და ის დანაშაულობანი, რომლებიც მათ ქართველი ხალხის წინაშე ჩაიდინეს.

– მიხეილ სააკაშვილი სამხედრო დამნაშავე და სამშობლოს მორალატეა! – მსგავსი შეფასება ბევრჯერ გაჟღერებულა მავანთა და მავანთაგან, თუმცა ამ შეფასებებს რეაგირება არ მოჰყოლია.

რას ცუღლუტობდა და ქვეყნის ბიუჯეტიდან რამდენს ახარჯავდა ბატონი სააკაშვილი დოქტორ დოტის და უფრო იაფფასიან დოტებს, ვიცით, მაგრამ რას ცუღლუტობდა იგივე სააკაშვილი, როცა სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციას ქმნიდა და კოდორის ხეობას ზემო აფხაზეთს არქმევდა, არ ვიცით!

კი, მაგრამ, არ უნდა ვიცოდეთ?

და თუ არ უნდა ვიცოდეთ, ის მაინც ხომ უნდა ვიცოდეთ, რატომ არ უნდა ვიცოდეთ?

---

**მინაწერი: არა აზერბაიჯანი, არა რუსეთი, არამედ ისევ და ისევ „ნაციონალური მოძრაობა“ თავისი უგუნური და მოღალატეობრივი განცხადებებით, ოღონდ მათი დანაშაული დაიფაროს და დღესაც იქითკენ მოგვიწოდებს, რომ საქართველომ უარი ღქვას დავით ჰარეჯზე.**

**გესმით, რა მასშტაბის მოღალატეებთან და აცაზაკებთან გვაქვს საქმე?**

ვ.ხ.

# ნაცმოძრაობა - მკვლელების დესანტი ჯოჯოხეთიდან

(გაგრძელება.
დასაწყისი იხ. „ს.გ" N30-31)

მსოფლიოში ერთ-ერთმა ცნობილმა კომპიუტერულ ანტივირუსულ პროგრამირების შვედურმა ESET-ის მწარმოებელმა კომპანიამ, რომელიც მსოფლიოს 180-მდე ქვეყანაში თავის ძალიან ცნობილ ანტივირუსს NOD-32-ს ჰყიდის, 2011 წელს აღმოაჩინა ტროიანის ტიპის ვირუსი და ეგრეთწოდებული რობოტული კომპიუტერული ქსელი – ბოტნეტი, რომელსაც ამ ქსელის უპირატესად საქართველოს მასშტაბის გამო, Win32/Georbot უწოდეს. კომპიუტერული ჯაშუშობის ამ პროგრამას საკმაოდ საინტერესო კომუნიკაციური მახასიათებლები ჰქონდა, რაც მოიცავდა დოკუმენტების და სერტიფიკატების მოპარვას, ვიდეო და აუდიო ჩანაწერების გაკეთებას და ქსელში ინფორმაციის ძიებას. ყველაზე საინტერესო კი ისაა, რომ მენეჯმენტის და კონტროლის ინფორმაციების განსახორციელებლად ეს ბოტნეტი საქართველოს სამთავრობო ვებ-გვერდს უკავშირდებოდა! იმის გათვალისწინებით, რომ ბოტნეტის ქსელში ჩათრეული (დავირუსებული) კომპიუტერების 70%-ზე მეტი საქართველოში იყო, ასე რომ ტოტალიტარული ქვეყნების გამოცდილების მსგავსად ნაც. ხელისუფლების მიერ საკუთარი მოქალაქეების თვალთვალის ეფექტური იარაღი აკრძალული ბოტნეტი გახლდათ. უკვე 2012 წლის 20 მარტისათვის ესეტ-ის სპეციალისტებმა ახალი ვერსიები აღმოაჩინეს. რაც ალბათ, იმის შედეგი იყო, რომ მათ მიერ ატეხილი განგაშის შემდეგ ვირუსის ავტორებმა ზომები მიიღეს, რომ ანტივირუსების მიერ მათი სკანირება გაძნელებულიყო. 2012 წლის 19 სექტემბერს „ვაშინგტონ პოსტის" ბლოგზე განთავსდა დევიდ ინგატიუსის სტატია „საქართველოს სკანდალური საარჩევნო ისტორია" ავტორი მკაცრად აფასებდა სატელეფონო მოსმენების და კომპიუტერული ქსელების მეშვეობით თვალთვალს და განმარტავდა, რომ აღნიშნული ქმედება გახლდათ ძალიან მძიმე დანაშაული და სააკაშვილის და ნაცმოძრაობის ამაში მონაწილეობის ბრალის დამტკიცების შემთხვევაში, სწორედ ის შეიძლებოდა გამხდარიყო ამერიკის ადმინისტრაციისათვის იმის სერიოზული მანიშნებელი, რომ მიშამ წითელი ხაზი გადაკვეთა. ნაცმოძრაობის ლიდერებს უნდა ახსოვდეთ, რა იყო ნიქსონის წინააღმდეგ ძალიან სერიოზული ბრალდება – პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ საიდუმლო მოსმენების და ჯაშუშობის ორგანიზება, ასევე – უოტერგეიტის საქმის სამართლიანი გამოძიებისათვის ხელის შეშლა და ცრუ კვალზე დაყენება. ნაცხელისუფლებამ, ვერ მოახერხა შეექმნა ინოვიაციური კომპიუტერული პროგრამები განათლებაში, ჯანდაცვაში, სოფლის მეურნეობაში, სამაგიეროდ წინ წავიდა არა მარტო მოქალაქეთა და იურიდიულ პირთა რეგისტრაციის და მათი ფინანსური შემოსავლების ელექტრონული გაკონტროლების მხრივ, არამედ იმ მხრივაც, თუ როგორ ეთვალთვალათ პოლიტიკური ოპონენტებისათვის. სავარაუდოდ, ამ მიზნისათვის იყენებდნენ კომპიუტერული პროგრამების ახალგაზრდა ჰაკერს, რომელიც 16 წლიდან კუდში მუშაობდა და 19 წლის ასაკში უკვე კუდის სამმართველოს უფროსის მოადგილის მოვალეობებს ასრულებდა...







ნაცხელისუფლებამ ბოროტებით, ქვეყნის და მოსახლეობის განადგურებით, გადაუსწრო 1992–93 წლების ყველაზე შავბნელ პერიოდს, როცა საქართველოს ყაჩაღები მართავდნენ და როცა საშინელი ომი და ძარცვა-გლეჯა გადავიტანეთ, როცა მთელი არსებული ინფრასტრუქტურა დაინგრა, – მის მერე საქართველოს ასეთი ბანდიტი და უსირცხვილო მთავრობა არ ჰყოლია. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ სწორედ ოთხმოცდაათიანი წლების „რადარებიდან" გამქრალი ავაზაკთა ბანდა დაიყენა გვერდით და სწორედ მათ მიერ „გაზაპრავკებული" ბოროტი ოცეულები არბევდნენ და ატერორებდნენ პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს. სააკაშვილი თავის თავს და პარტიას 50–70 წლიან ჰეგემონიას უწინასწარმეტყველებდა, მაგრამ 2012 წლის ოქტომბერში ნაცლიდერები ერთმანეთს ასწრებდნენ საზღვარგარეთ... შევარდნაძეს, მის მიერ განხორციელებულ მრავალ სისასტიკეთა მიუხედავად, არ დაურბევია ქართველი ხალხის მრავალათასიანი მშვიდობიანი მსვლელობები – არც 1978 წლის 14 აპრილს და არც – 2003 წლის ნოემბერში. „დემოკრატმა" მიხეილ სააკაშვილმა ეს ჩაიდინა პირველივე „შესაძლებლობისთანავე" – 2007 წლის 7 ნოემბერს და „ზეობის" დასრულებამდე განსაკუთრებული სისასტიკით, უკანონო აკრძალული იარაღით არბევდა და ანადგურებდა მოწინააღმდეგეებს! სააკაშვილმა თავისი მმართველობის პერიოდში, ყველაფრის გამყიდველი კახა ბენდუქიძის დახმარებით, გაასხვისა საქართველოს ასჯერ უფრო მეტი სიმდიდრე, ვიდრე შევარდნაძემ ეს მოახერხა ლამის 30-წლიანი ბატონობის პერიოდში. ბათუმის და ფოთის პორტები, საქართველოს რკინიგზა, თბილგაზი, რუსთავის მეტალურგიული, ზესტაფონის ფერო, მადნეული, თბილისის წყალი, ბათუმის აეროპორტი, საავადმყოფოები – აი არასრული სია იმისა, რაც სააკაშვილმა თავის კლასტერთან ერთად ქართველ ხალხს გაუყიდა. აშშ მთავრობის დამსახურებით, ვერ მოახერხეს გაეყიდათ ყველაზე სტრატეგიული ობიექტი – საქართველოს გაზგამანაწილებელი აღსანიშნავია, რომ ლომის წილი სწორედ იმ რუსეთს მიეყიდა, რომელიც ყველა უბედურების მიზეზად გვევლინება ან ცხადდება. სააკაშვილმა და მისმა ოჯახმა თავის ხელში უკვე პირველივე წლებში მოაქცია საქართველოში ბიზნესის ყველაზე შემოსავლიანი დარგები, რომელთაც სააკაშვილის ოჯახი – დედა, მამა, ბიძა და ძმები აკონტროლებენ – „მადნეული", „ვისოლ – კანარგო", „ბილაინ-ჯორჯია", ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა, რუსთავის მეტალურგიული ქარხანა, საქართველოს უნივერსიტეტი, შავი ზღვის უნივერსიტეტი, თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი... სააკაშვილმა და მისმა ბანდამ დახურეს ბაზრები, გაჭირვებულ ხალხს აეკრძალა გარევაჭრობა, და იძულებული გახდნენ, ევაჭრათ მისი ახლობლების მიერ აშენებულ ფეშენებელურ ცენტრებში, სადაც მაღალი გადასახადის გამო გაჭირვებულთა 90% ვეღარ შევიდა და საარსებო წყაროს გარეშე დარჩა. სააკაშვილის მიერ წარმოებული ვითომ-და მასიური დასაქმების პროგრამა იყო ყველაზე დიდი ბლეფი, რაც ნაცმთავრობას მოაფიქრდა








და რეალურად მხოლოდ წინასაარჩევნოდ ხმების ყიდვის მცდელობას წარმოადგენდა, განსაკუთრებით – ახალგაზრდებში. შევარდნაძეს, ხალხის გაღატაკებაში დიდი "დამსახურების" მიუხედავად, ხალხის გაძარცვა ასეთი დრაკონული მეთოდებით არ განუხორციელებია. სააკაშვილმა, რომელმაც თავის ხროვასთან ერთად კარიერული აღმასვლა კლანური კორუფციის წინააღმდეგ და სხვისი სახლების სურათების აფრიალებით დაიწყო, შექმნა მაფიოზური კლანური სისტემა, ბეჟუაშვილები (გაზის ბიზნესი, ტელეკომპანიები „რუსთავი2" და „მზე"), ვარშალომიძეები (აჭარის ბიზნესის ლომის წილი, ვაკის სამშენებლო ბიზნესი), მერაბიშვილი (სამცხე-საჯავახოს ბიზნესები, საგაზეთო ბიზნესი, ევროპული სკოლა), ადეიშვილი (სამშენებლო და სასტუმროების ბიზნესი კახეთში), უგულავა, (სამშენებლო და სარეკლამო ბიზნესები თბილისში), გოროზიები (სამეგრელოში არსებული ბიზნესები), გიგა ბოკერია (მამამისის სამშენებლო ბიზნესით), ლადო ჭიპაშვილი („ბლოკ-ჯორჯია"), მამაშვილი ჯულელები („ბელასეტა"-ს ქსელი, თუმცა თვალის საოპერაციოდ 10,000 ლარი მამა-დეპუტატმა, როგორც „უმწეომ" ითხოვა), ძმები კოდუები (ავიაკომპანიები სხვებისათვის შეწერილი ვალებით, მშენებლობები, ჰოსპიტლები, ჟურნალ-გაზეთები), გია გეწაძე (სასტუმრო "აჭარა"), რატი სამყურაშვილი (კაზინოების ბიზნესი)... სააკაშვილმა, რომელმაც თავის გაპრეზიდენტებისთვის მასმედია მაქსიმალურად გამოიყენა, ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ფარული, მაგრამ სასტიკი ბრძოლა დაუწყო სწორედ თავისუფალ მასმედიას – გავიხსენოთ დახურული გადაცემები და არხები – "დარდუბალა", „მე-9 არხი", „60 წუთი", „202". ასევე – შალვა რამიშვილის დაპატიმრება, "ასავალ-დასავლის" ოფისიდან გამოძევება, "იმედის" სამთავრობო ბოიკოტი, "კავკასიის" და "იმედის" ლიცენზირების შეჩერება მოგონილი მიზეზებით და უკანა თარიღებით, "იმედის" ჟურნალისტთა წარმოუდგენელი ფსიქოლოგიური ტერორი, და ბოლოს – "იმედის" წარმოუდგენელი მასშტაბის დარბევა ავტომატიანი სპეცნაზით, ორსული ქალების ცემით და სიბნელეში ხალხის სროლისქვეშ დევნით. სააკაშვილმა „რუსთავი-2" ერთდროს ამაყად თვითგამოცხადებული "გამარჯვებული ხალხის ტელევიზიიდან" აქცია "გამარჯვებული ნაცების ჯიბის ტელევიზიად", შეუზღუდა მაუწყებლობა "მაესტროს"... ნაცების მიერ მართულ ქვეყანაში, სახალხო დამცველს არჩევნების ვიდეოჩანაწერების ნახვას უკრძალავდნენ, ხოლო მის მიერ აღმოჩენილ დოკუმენტურ დარღვევებს "აბსურდულს" უწოდებდნენ, სასამართლოები არცერთ საარჩევნო საჩივარს არ იხილავდნენ, ცესკო-ში დაგვიანებით მიტანილ სიას











# „ქართულმა ოცნებამ“ რადგან დაიწყო, ბოლომდე უნდა მიიყვანოს საზღვრების საკითხი, თორემ ქვეყანა ლოზემორლვეულ ეზოს დაემსგავსა, რომელსაც მეზობლები ნაჭერ-ნაჭერ იტაცებენ



საზღვრის დაცვის დეპარტამენტის უფროსის ყოფილი მოადგილის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პოლკოვნიკ **გელა ხუციშვილის** განცხადებით, საქართველოს საზღვრის მთელ პერიმეტრზე ყველაზე კატასტროფული ვითარება შემდეგ მონაკვეთებზეა: დარიალის ხეობა 800 მეტრი; ცხინვალის რეგიონი თავისთავად, მდინარე არღუნის ხეობა შატილთან; დიკლოს მთა 4 ჰექტარი; სოფელი ერისიმედი ლაგოდეხის მონაკვეთზე, უდაბნო; ჯანდარის ტბის მიდამოებში სამხედრო ბაზები; ჯანდარიდან (გარდაბნის რაიონი) „წითელ ხიდამდე“ საზღვრის მონაკვეთი, დარღვეულია არხების მიმართულება; „წითელი ხიდის“ მონაკვეთი; ბაბაქარის ქედი („წითელი ხიდიდან“ მარნეულისკენ), აქაც დარღვეულია ჩვენი საზღვარი, სომხები გადმოსული არიან ჩვენს ტერიტორიაზე; ასევე ლალვანის ქედი და ხუჯაბის მონასტერი. რესპოდენტის განცხადებით, ეს ადგილებია მოწყვლადი, ამ ადგილებზე იყო მუდმივად დავა, მათ უნდა სერიოზული ყურადღების მიქცევა, იმიტომ, რომ ყველა მათგანი სტრატეგიული უბანია. ზვიად გამსახურდიამ განაცხადა, რომ საქართველო პირველი რესპუბლიკის (1918–1921 წწ) მემკვიდრე უნდა ყოფილიყო, მაგრამ ამ მოსაზრებას ყურადღება არავინ მიაქცია.

**გელა ხუციშვილი**: თუ პირველი რესპუბლიკის სამართალმემკვიდრე ვიქნებოდით, მაშინ საფუძვლად აღებული უნდა გვქონოდა 1920 წლის 7 მაისის რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულება, ჩარჩო-შეთანხმება და საზღვრების გამიჯვნაც ამ დოკუმენტის მიხედვით უნდა მოხდეს. იმ დროს აფხაზეთიც საქართველოს შემადგენლობაში იყო, ცხინვალის რეგიონიც, ლორე-ტაშირიც და მთლიანად ზაქათალის ოლქიც, რუსეთმა ყველა მათგანი საქართველოს შემადგენლობაში სცნო, იმიტომ, რომ იმ დროისთვის რუსეთი უკვე განაგებდა აზერბაიჯანსაც და სომხეთსაც, ორივე რესპუბლიკა გასაბჭოებული იყო. აღსანიშნავია, რომ ამიერკავკასიის სეიმის დაშლისთანავე (მან სულ სამი თვე იარსება) წამოიჭრა სასაზღვრო პრობლემები. სამხრეთ კავკასიაში საზღვრების გამიჯვნის საკითხს სამივე ფიგურანტი თავისებურად აყენებდა, დაშნაკცუტუნის პარტია (სომხეთი) ამბობდა, სადაც კომპაქტურადაა განსახლებული სომეხი ეთნოსი, ის უნდა იყოს სომხეთის ტერიტორიაო. მუსავატელები (აზერბაიჯანი) ამბობდნენ, რომ სადაც რელიგიურად ისლამის მიმდევრები ცხოვრობდნენ, ის ყოფილიყო აზერბაიჯანის ტერიტორია, ხოლო საქართველო აცხადებდა, რომ საზღვარი გამიჯნულიყო გუბერნიების საზღვრებში, იმიტომ, რომ რუსეთთან მიერთების შემდეგ დავიბრუნეთ მთელი რიგი ძირძველი ქართული ტერიტორიები, ახალციხე, ბათუმი, ართვინი, ზაქათალა და ა.შ. ახლა ხელახლაა დასაწყები ყველაფერი, იმდენად ღრმად გვაქვს შეტოპილი, რომ არ ვიცი, ეს როგორ შეიძლება გასწორდეს. ჩემი აზრით, დაუყოვნებლივ უნდა გამოვიდეს სასაზღვრო ძალები შსს-ს შემადგენლობიდან, იმიტომ, რომ ჩვენს გარშემო საომარი ვითარებაა. იგი ცალკე სტრუქტურად უნდა ჩამოყალიბდეს და მიეცეს საჯარისო სტრუქტურის სტატუსი, შეიძლება დაერქვას სასაზღვრო საქმეთა სამსახური.



**- ბატონო გელა, რუსი პოლიტოლოგი დიმიტრი კულიკოვი, რომელსაც ნამდვილად ვერ დავწამებთ ქართველოფობობას, აცხადებს, რომ თუკი საქართველო ნატოში შევა, დიდი ალბათობით აჭარას დაკარგავს, რადგან თურქეთი ამ რეგიონს თავის ტერიტორიად განიხილავს, ბათუმის**

8 გვ. →



მოჭიდავეთა ჭიდაობით "აპრავებდნენ", და ათასობით დაფიქსირებული დარღვევით ჩატარებულ არჩევნებს "დემოკრატიის ტრიუმფს" უწოდებდნენ, ლევან თარხნიშვილის მასშტაბის უსინდისო, „შეუცვლელ“ თაღლითს მეორედ "ანდობდნენ" ქართველი ხალხის გაბითურებას,... ადამიანის უფლებების „უპირობო დამცველ“ნაცხროვას არად უღირდა სხვისი სიცოცხლე და ჯანმრთელობა. საჩვენებელ დახვრეტებს პირდაპირ ქუჩაში აწყობდნენ და შემდეგ მეორედ, სიტყვით კლავდნენ უდანაშაულო ახალგაზრდებს "მოღალატეებს", "ნარკომანებს", "კრიმინალებს" და "ტერორისტებს" უწოდებდნენ. სამაგიეროდ „გუნდის წევრები“დიდ პატივში ყავდათ. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ომამდე ორი დღით ადრე 6 აგვისტოს სახელმწიფო მინისტრმა ცხივნალის ხელისუფლებას შეუთანხმა პრეზიდენტის პრესსამსახურის თანამშრომლის ალანა გაგლოევას ბებიის ცხინვალიდან ევაკუაციის საკითხი, როცა, სრულიად დაუცველი ქართული მოსახლეობა ხელში შეატოვა რუსეთის ჯარს...პოპულიზმით შეპრობილი ნაცბანდა, ამაყად გვაჩვენებდნენ სამაგალითოდ მოსაწონებელ 20-მილიონიან ბლოკბასტერს წაგებულ-მოგებულ ომზე და ძვირფას-გასახლებულ ლტოლვილებზე. ამ პერიოდში გვეღირსა შერონ სტოუნის, რენე ჰარლინის, ენდი გარსიას, ენრიკე ეგლესიასის და სხვა სასიქადულო პირთა გამონათებები, რომლებსაც მთავრობის ლაქია ნაცტელევიზია ისე გვიჩვენებდნენ, როგორც სალბუნს ლტოლვილთა სულების მოუშუშებელ ჭრილობებზე. ნაცმედია გვარწმუნებდა, რომ აშენდა ბედნიერების ოაზისი, რომელსაც შურით შეჰყურებენ ნიცა და დუბაი – 7-ვარსკვლავიანი ტურისტული მექა, მეგაპოლისად ქცეული მიკროსოფელი ანაკლია, მაგრამ იმას არ ამბობდნენ, რომ საცხოვრებელი ადგილებიდან ლტოლვილების მასიურად გამოსახლების და ამ ობიექტების გაყიდვის ხარჯზე მთავრობამ ააშენა ტურისტული მეგაპოლისი ანაკლია, რომელსაც არაფერი არ აკლია, რადგან ლტოლვილებს ყველაფერი მოაკლეს!...საჯარო საბავშვო ბაღებში რომ გადასახადი დაწესდა, მთელმა მთავრობამ, პარლამენტმა და ზონდერებმა ლიტვაში ორი კვირა ილივლივეს – ვითომდა კალათბურთის სიყვარულის მომიზეზებით... როდესაც თბილისში ახალი მიკროავტობუსები გამოჩნდა, მთავრობამ თავისი პირობა მყისვე დაივიწყა და მგზავრობაც გაძვირდა! ხალხზე „მზრუნველმა“ნაცხელისუფლებამ დაანგრია თაბუკაშვილის ქ. №50 სახლი, უნივერსიტეტიდან გამოყარა აკადემიკოსები, მწერალთა სახლიდან – მწერლები და გამომცემლობა "სამშობლოდან"- ჟურნალისტები. უმოწყალოდ ცემა ვალერი გელაშვილი და კობა დავითაშვილი, აბსურდული ბრალდებებით ციხეში გამოკეტა უამრავი პოლიტიკური მოწინააღმდეგეები. ნაცავაზაკები თავს დებენ დემოკრატიის პრინციპების ერთგულებაზე, არადა სწორედ მათ მიერ მართული პოლიცია გაფიცულ მუშებს ძალის გამოყენებით შლიდა, აკავებდა და აიძულებდა, ემუშავათ! დიახ, ნაცპოლიცია იდგა ინდუსი მეწარმის ინტერესების სადარაჯოზე, რომელიც საქართველოს მოქალაქეებს არაადამიანურ პირობებში ამუშავებდა! იმიტომ, რომ ეს ინდუსი მეწარმე მერაბიშვილის და სააკაშვილის დაქირავებული გახლდათ! მას უნდა გაემაგრებინა მითი საქართველოს ინვესტიციური კლიმატის ფანტასტიურობაზე! მას უნდა დაებრუნებინა "ატკატები" საქართველოს ხელისუფლებისთვის, რომელმაც მას გროშებად გადასცა საწარმო და ასე თავგამოდებით იცავდა მის უკანონო წარმოებას მუშების კანონიერი მოთხოვნებისაგან! აღსანიშნავია, რომ ნაცმედია და სტატისტიკა მხოლოდ პენსიის ზრდას ამჩნევდა 14-დან 100 ლარამდე, ხოლო ხორცის ფასის ზრდას 4-დან 18 ლარამდე – ვერა! დენის გადასახადის ზრდას 4-დან 22 თეთრამდე – ვერა! ბენზინის ფასის ზრდას 0.8 ლარიდან 2.2 ლ-მდე – ვერა! და რაც მთავარია, ვერ ამჩნევდა, რომ მინისტრების და პარლამენტარების ხელფასები საშუალო პენსიონერის ხელფასზე 50–200-ჯერ მეტი იყო(სამწუხაროდ ამ მხრივ არც დღეს გვაქვს უკეთესი ვითარება)...

კოკაინით გაბრუებულ მიხეილი ამბობდა, რომ ჩვენ შვეიცარიაზე წინ ვიყავით! გვქონდა საუკეთესო თოვლი და ყველაზე მდგრადი ეკონომიკა! რომ ანაკლიამ მტრის ჯინაზე ნიცას და მონტე-კარლოს აჯობა (ალბათ უფრო მშიერი ლტოლვილების ჯინაზე) და ანაკლიის ხიდი სოხუმამდე მივიდოდა! რომ საქართველოს მოსახლეობაში მუსულმანი ქართველი მეტი იყო ვიდრე ქრისტიანი ქართველი... რომ მარტო დაფრინავდა თვითმფრინავით და ყველა აეროპორტს თავად გახსნიდა, რომ ზანგები არ ვიყავით და ვერ იგებდა, მაშინ რატომ ვიქცეოდით ველურებივით... რომ ბავშვობიდან ოცნებობდა ლეგოს კუბიკებით დიდი სახლების აშენებაზე და როგორც იქნა აისრულა ოცნება... რომ მის მინისტრ ქალბატონს წვეტიანი კბილები აქვს და მაგარი კბენა იცის (თუმცა არ აზუსტებდა, დრ. დოტზე უფრო მაგრად კბენდა თუ არა), რომ მოვიდა დრო ციხეების მინისტრი გაათხოვოს (არაა გასაკვირი, ბევრი ჰყავდა გათხოვებული და ხანუმობაში ხელი გაიწაფა), რომ ჯარისკაცი უფრო მაგარია, ვიდრე ბალერინა და ყელმოღერებული პოლიტიკოსი... რომ მისი უკვდავი პარტია 50 წელი იქნება მმართველი, რომ არაფერი არაა იმაზე საზიზღარი, რომ მტრის წინაშე ხოხავდე და ხელს ულოკავდე... რომ მისთვის სკამი და თანამდებობა არაფერია!..კოკაინით გაბრუებულ, აღგზნებულ გამოთაყვანებულ, ქვეყნის დამაქცევარ პრეზიდენტს, მოზეიმე და მოპარპაშე მთავრობასთან ერთად მოსახლეობის კვნესა არ ესმოდა, ვერც გაჭირვებულებს ამჩნევდა და ვერც ავადმყოფებს რომლებსაც მათ მიერ პომპეზურად გახსნილ სამედიცინო დაწესებულებებში მკურნალობის სახსრები არ ჰქონდათ...

(გაგრძელება იქნება)

ქეთევან ზარნაძე
599 52 60 30



# „ქართულმა ოცნებამ“ რადგან დაიწყო, ბოლომდე უნდა მიიყვანოს საზღვრების საკითხი, თორემ ქვეყანა ლობემორღვეულ ეზოს დაემსგავსა, რომელსაც მეზობლები ნაჭერ-ნაჭერ იტაცებენ

← 7 გვ.

**აეროპორტს კაი ხანია თავიანთ შიდა სივრცედ თვლიანო.**

- რუსეთი მაგას არ დაუშვებს, რუსების შიში რომ არ ქონდეთ, თურქები აქამდე დაიკავებდნენ აჭარას, მაგრამ ახლა ძალიან მნიშვნელოვანია, როგორ განვითარდება მოვლენები მთიან ყარაბაღში, ეს შეიარაღებული კონფლიქტი თუ გაგრძელდა, მოგვაწყდება ლტოლვილები, რაც კიდევ უფრო დაამძიმებს ქვეყანაში ვითარებას. რატომღაც არავინ ახსენებს, ხელი რომ გვაქვს მოწერილი რუსეთთან სატრანზიტო ტვირთების გატარების ვალდებულებაზე, მოგეხსენებათ, მას სომხეთში სამხედრო ბაზები აქვს. თუ რუსეთს ტვირთების გატარებაზე უარს ვეუბნებით, მაშინ არსებული ხელშეკრულების დენონსაცია უნდა მოხდეს. როგორ ფიქრობთ, შემთხვევით გამწვავდა ყარაბაღსა დამ ის შემოგარენში ვითარება?



სომხეთის პრემიერ-მინისტრმა ფაშინიანმა ევროპისა და ნატოსკენ რომ დაიწყო ყურება, „შედეგმაც“ არ დააყოვნა. მიიღო. ისე, ამერიკასაც აწყობს სამხრეთ კავკასიაში საომარი მოქმედება, თურქეთსაც, რადგან ტრამპის არჩევნებია და ერდოღანის პოზიციები გამყარდება. სხვათა შორის, რუსეთსაც აწყობს, რადგან პუტინიც გაიმყარებს პოზიციებს. ერთადერთი ვისაც ეს საომარი ვითარება არ აწყობს, ჩვენ ვართ, რადგან ყველაზე სუსტ პოზიციაზე ჩვენ ვიმყოფებით. არ მინდა პოლიტიკურმა შეფასებებმა დაჩრდილოს ჩვენი საუბრის მთავარი თემა, საქართველოს საზღვრები, მისი ინვენტარიზაცია, საერთო ხელშეკრულებების რევიზია, თუ საჭიროა დენონსაცია, ამიტომ სჯობს ამ საკითხებზე ვისაუბროთ.

1937 წელს, ჩვენ შევედით საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში, რომელიც 1936 წელს შეიქმნა და იმავე წელს იქნა მიღებული საკავშირო კონსტიტუციაც. ჩვენ საქართველოს სსრ რესპუბლიკის კონსტიტუცია 1937 წელს მივიღეთ, სადაც დეტალურად არის აღწერილი საქართველოს ქონება, რაიონები, მიწები და საერთოდ, ყველაფერი. ამ კონსტიტუციის მიღების შემდეგ, 1938 წელს ჩატარდა საქართველოს საზღვრების რედემარკაცია (ხელახალი დადგენა), სწორედ იმ პერიოდის დოკუმენტს ვიხსენიებთ 1938 წლის რუკებად, რომელიც ნათლად ასახავს რეალურ სურათს. მაგრამ ჩვენ ხომ დავგმეთ საბჭოთა საქართველოს პერიოდი, თუ დავგმეთ, მაშინ რატომ არ ვუბრუნდებით 1920 წლის მაისის ხელშეკრულებას, სადაც გამიჯნულია საზღვრები და ხელი მოწერილი აქვთ აზერბაიჯანს, სომხეთს და რუსეთსაც?! ამ დოკუმენტით, ხომ მარტო გარეჯის მთლიანი ტერიტორია კი არა, ისტორიული ჰერეთი, ზაქათალის ოლქი, ლორე-ტაშირი (დღეს სომხეთის შემადგენლობაშია), აფხაზეთი და სხვა ტერიტორიებიც საქართველოს შემადგენლობაში აღიარეს, იმიტომ, რომ გამიჯვნა ზუსტად გუბერნიის საზღვრების მიხედვით. აფხაზეთის მონაკვეთზე შავი ზღვის გუბერნია იყო შექმნილი, რომ ვამბობთ სოჭი-ტუაფსე (ნიკოფსია) ჩვენი იყოო, ეს ტერიტორია ქუთაისის გუბერნიაში შედიოდა. პირველი მსოფლიო ომის დროს გამოყვეს შავი ზღვის გუბერნია, რომლის ცენტრიც სოხუმი იყო, შავი ზღვის გუბერნიის ნაწილი მდინარე ფსოუზე გაიმიჯნა და სოხუმი და ფსოუს აქეთ ტერიტორიები ჩვენსკენ მოხვდა. ძალიან სამწუხაროა, ასეთი გაუგებრობები რომ ხდება, ხშირ შემთხვევაში „მეზობლებს არ ვაწყენინოთ“ პრინციპით ვმოქმედებთ. გამოსაძიებელია „წითელ ხიდის“ მიმდებარე ტერიტორიაზე ახალი ხიდის მშენებლობის საკითხი, ახლა მაინც გამოიძიონ როგორ და რატომ მოხდა, რომ საქართველომ 300 მეტრით უკან დაიხია ძველი ხიდიდან, რატომ გამოცხადდა ეს ადგილი ნეიტრალურ ტერიტორიად. 1997 წელს, ტასისის პროგრამით იქნა გადაწყვეტილება მიღებული და საქართველოსთვის ორი მილიონი ეკიუ გამოყვეს, რომ მანდ ხიდი გაკეთებულიყო. დასაწყისისთვის, ახალი ხიდი „წითელი ხიდის“ მარცხენა მხარეს უნდა ყოფილიყო, ე.წ. ტეკთან, შიხლის რაიონისკენ (აზერბაიჯანი). მერე ყველაფერი შეიცვალა, 300 მეტრით უკან დაგვაწევინეს და იქ აშენდა, „წითელი ხიდი“ და ჩვენი ტერიტორია, რომელიც სადაოა, აღმოჩნდა იქითა მხარეს. საქმე იმაშია, რომ ისევე როგორც შევარდნაძის, ისევე სააკაშვილის შემთხვევაშიც, ესენი ენდნენ ხალხს, ვისაც ეს საკითხი არ ესმის.

პრეზიდენტყოფილი სააკაშვილი „მონოლოგით“, გიორგი მანჯგალაძეს „დაიხმარებენ“ და დამაბრალებენ რომ 70 მილიონი ავიღე გარეჯის გაყიდვის „საქმეშიო“, ბევრს ანეგდოტის პერსონაჟი ატმის ქურდი გაახსენდა. გიორგი მანჯგალაძე საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეობის გარდა, სადემარკაციო-სადელიმიტაციო კომისიის თავმჯდომარეც გახლდათ. ვინ იყო მაშინ ამ უწყების შეფი? სააკაშვილის, როგორც რუსები იტყვიან „კორეში“, თავის ღვიძლ ძმასთან, დავით ბეჟუაშვილთან ერთად, „მრავალფუნქციურ-მრავალპროფილური“ გელა ბეჟუაშვილი. როგორ არის „ერთი კაცის“ ყველაფრის ცოდნაზე საუბარი, როდესაც საქმეში ისეთი „კიტის“ უწყებაა ჩართული, როგორიც გელა ბეჟუაშვილი, ამას დამატებული ბურჯანაძე-ბიწაძის „ჩეტა“ პარლამენტის სპიკერისა და №1 მესაზღვრის რანგში. ამათ არ ევალებოდათ რაიმეს ცოდნა? სამაგიეროდ, ათკილომეტრიან სიმაღლეზე ნაფრენმა და სააკაშვილის ხელდასმით, მაღალჩინოსნის სავარძელში ჩასკუპებულმა ნინო კალანდაძემ გამოავლინა ყველას მაგივრად „ცოდნა-წიგნიერება“, დავით გარეჯი ალბანური კულტურის ძეგლიაო.

იმ ალბანელების შთამომავლები მხოლოდ ორი სოფელია დარჩენილი, ისინიც საქართველოს ტერიტორიაზეა. ჩვენ მათ უდინებს ვეძახით, ენა აქვთ, დამწერლობა არა, მართლმადიდებლები არიან. ასე რომ, აზერბაიჯანის მკვიდრ მოსახლეობაზე, ალბანელებზე როცა საუბრობენ, ჯერ საქართველოს მოქალაქე უდინებს დაველაპარაკოთ, იქიდან დავიწყოთ საუბარი. ჯობს დავანებოთ თავი ისტორიას და ჯერ საერთაშორისო შეთანხმებების რევიზია დავიწყოთ. ჩვენ გვყავდა პროფესიონალი კარტოგრაფი და გეოგრაფი ჯანსუღ კეკელია, მან ყველაფერი იცოდა, მაგრამ აღარ არის ცოცხალი. დიდად სამწუხაროა, რომ საქართველომ თავის დროზე არ გამოიყენა ასეთი ძლიერი სპეციალისტი. ბოლოს ეკონომიურად ისე გაუჭირდა ამ ბრწყინვალე პროფესსიონალს, რომ თბილისში ბინა გააქირავა, რომ ეარსება და სენაკში გადავიდა საცხოვრებლად. შაბათ-კვირას ჩამოდიოდა თბილისში, ლექციებს კითხულობდა და ისევ უკან ბრუნდებოდა. მელაშვილი კარტოგრაფი და გეოგრაფი არ არის, დარწმუნებული ვარ, მელაშვილი ბრმად მიენდო ილიჩოვას, ამან დაიწყო მუშაობა და... ძნელია ადამიანს ბრალი დასდო, მაგრამ ეს ქალბატონი ყოველთვის პრობლემური იყო. ერთი პერიოდი ჩემი ხელქვეითი იყო ილიჩოვა და სულ მიმაჩნდა, მას იმაზე მეტი კონტროლი სჭირდებოდა, როგორიც ჰქონდა. რამდენადაც ვიცი, ილიჩოვა ამ ქალბატონის მეუღლის გვარია, თვითონ მგონი, სომეხი უნდა იყოს. კარტოგრაფიის სისტემაში მომუშავე კარტოგრაფები, ტექნიკური პერსონალი ყველა თუ არა, უმეტესობა მაინც სომეხი ეროვნების არიან. ამიტომ ჩვენმა სპეცსამსახურებმა უნდა შეამოწმოს ყველას სანდოობა.



კიდევ ერთ თემაზე მინდა თქვენი და საგამოძიებო ორგანოების ყურადღება გავამახვილო, თბილისში არსებობდა ამიერკავკასიის სპეცგეო (სპეციალური გეოდეზიური სამსახური), ბაქოს ქუჩაზე იყო ამ დაწესებულების, როგორც ახლა იტყვიან, ოფისი, ისინი აწარმოებდნენ აეროგადაღებებს. სხვათა შორის, საქართველოს მესაზღვრეებმა მათ შევუკვეთეთ საქართველოს პერიმეტრზე 10 კმ საზღვრის მიღმა და 10 კმ საზღვრის შიგნით 25.000-იანი რუკები, მე არ ვიცი სად წავიდა ეს რუკები, ჩვენ რომ წამოვედით, მესაზღვრეებს დავუტოვეთ. ამიტომაც ვამბობ, რომ ჩვენმა სპეცსამსახურებმა სერიოზულად უნდა მიაქციონ ყურადღება იმ ადამიანებს, ვინც კარტოგრაფიისა და სადემარკაციო-სადელემიტაციო სამსახურებში, ეს ტექნიკურ პერსონალია, აი, აქ ფუჭდება საქმე, რადგან ხელმძღვანელი მუშაკები ხშირად ბრმად აწერენ ხელს დოკუმენტებზე, ექსპერტების დონეზე მუშაობა ამ კონტინგენტს მიყავს. საეჭვო წარმომავლობის ადამიანებიც ბევრია მათ შორის. მე 2000 წელს წამოვედი საზღვრის დაცვის დეპარტამენტიდან, აკადემია რომ დავამთავრე, მაქსიმუმ ექვსი თვე ვიმუშავე მაგ უწყებაში, წამოსვლის მიზეზი ადრეც გითხარით. მერე თავდაცვის ეროვნულ აკადემიაში გადავედი და კათედრის უფროსი გავხდი. ეს ყველაფერი მოყვა არღუნის ხეობის თემებს, სადაც მე არ დავთმე პოზიცია, კატეგორიულად ვითხოვდი ექსპერტთა ჯგუფის 1999 წლის 21 მაისის შეთანხმების გაუქმებას. ლამის მთელი ხელისუფლება დამიპირისპირდა, შატილის მონაკვეთზე, არღუნის შესართავთან საზღვარი 750 მეტრით ჩვენს ტერიტორიაზე რომ გადმოიტანეს. მაშინ დავკარგეთ სოფელი ფიჭვნი, საზღვრის დამდგენი კომისიის მიერ რამხელა ცოდვაა ჩადენილი, 10 კვ.კმ ტერიტორია რუსეთს „ვუფეშქაშეთ“. უფრო დეტალურ ინფორმაციას და ვის რა პოზიცია ეკავა მაშინდელი ხელისუფლებიდან, მოგვიანებით მოგაწვდით, ერთს ახლავე გეტყვით, სასაზღვრო უწყება და დელიმიტაციის კომისია მიპირისპირდებოდა პირდაპირ. ვინ იყვნენ მაშინ ამ კომისიის შემადგენლობაში? ივერი მელაშვილი, ჩიფჩიური, ცისკარიშვილი, ყველა აღარ მახსოვს, მაგრამ საბუთები არსებობს. ძალიან კარგი იქნება, თუ ინტერვიუს ჩამოართმევთ იმ ხალხს, ვინც ამ საქმით იყო დაკავებული.




**მანანა სუხიშვილი**
599 51 28 24

# ბიძინა ივანიშვილის მორიგი საჩუქარი თბილისს და ფართომასშტაბიანი ბნედა „ნაციონალებში“

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში ვწერდი, ბიძინა ივანიშვილს ბევრი ისეთი სიკეთე აქვს ჩადენილი, რომლის შესახებაც არაფერი ვიცით-მეთქი. იქვე ისიც დავამატე, მომავალში რა საოცრებებს ჩაიდენს, არც ამის თაობაზე გვაქვს ინფორმაცია, რადგან ზოგიერთი სიკეთე შეიძლება არც კი დაგვესიზმროს-მეთქი. მაგალითად, მე ასეთ საოცრებად მიმაჩნია სამება, დენდროლოგიური პარკი, ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი.

და აი!

სანამ მივიხედ-მოვიხედავდი, სანამ მომდევნო სტატიის წერას შევუდგებოდი, სულ რაღაც ერთ კვირაში ისეთი ამბავი გასკდა, „ნაცებს“, „შმაცებს“, „გნაცებსა“ და მათთან გათანაბრებულ პირებს ბნედა დაეცათ.

დიახ, ეს გახლდათ (გახლავთ) ფართომასშტაბიანი ბნედა!

მიხეილ სააკაშვილის მმართველობის პერიოდში კაპიკებად გაყიდული იპოდრომი ბიძინა ივანიშვილმა კერძო პირებისგან 52 მილიონად გამოისყიდა და თბილისის მერიას უსასყიდლოდ გადასცა, ანუ თბილისელებს აჩუქა. ამ ადგილზე ცენტრალური პარკი აშენდება და ამ ყველაფერს დააფინანსებს ფონდი „ქართუ“, ანუ ბიძინა ივანიშვილი.









წარმოგიდგენიათ?!

გაპარტახებული იპოდრომის ნაცვლად გვექნება თანამედროვე ტიპის ცენტრალური პარკი, დასასვენებელი, გასართობი და რამე. მე და ჩემნაირებს გვიხარია, თქვენც გიხარიათ, მაგრამ არიან ბრიყვები, რომლებსაც არ უხარიათ. მეტიც, ისინი ათასგვარ სიბინძურეს იგონებენ. აი, მაგალითად, ვითომ პოლიტიკოსი ირაკლი ოქრუაშვილი „სიხარულს“ ასე გამოხატავს:

„ორი კვირის წინ იპოდრომის თემა წამოვწიე, დღეს ბატონ ივანიშვილს გონება გაეხსნა და დაუბრუნა ქალაქს“.

ესე იგი, ამან თემა წამოსწია, ტელევიზორში ილაპარაკა, ივანიშვილს უცებ გონება გაეხსნა და იპოდრომი ქალაქს დაუბრუნა. დაუკვირდით, მიტაცებული ჰქონდა, დაუბრუნა, განა აჩუქა? თანაც მას შემდეგ, რაც ირაკლამ გაახმაურა, თორემ არ აპირებდა.

მადლობა ვის, ჩემო ძვირფასებო? რა თქმა უნდა, ირაკლი ოქრუაშვილს!

თუმცა რატომ მხოლოდ ირაკლას? ამ საქმეში თურმე, ასევე, უდიდესი წვლილი მიუძღვის ალექსანდრე მაკედონელს კი არა და... ალექსანდრე (ალეკო) ელისაშვილს (სტილი დაცულია):

„ყოველგვარი მორიდების გარეშე ვამბობ — იციან რომ მათ კანდიდატს შანსი არ აქვს პირველ ტურში გაიმარჯვოს და ამიტომაც მსოფლიოში ყველაზე წუწურაქ ივანიშვილს მოუწია ამ ნაბიჯის გადადგმა. კი, ასეა სწორედ საბურთალოელების სიყოჩაღის და ოცნებისადმი ზურგისშექცევის შედეგია ის რომ იპოდრომი ჩვენია დღეიდან! მივაწვებით ამ ბედოვლათ ოცნებას, შევცვლით და ჩვენი ცხოვრებაც უკეთესობისკენ შეიცვლება! უკეთეს საბურთალოს ვიმსახურებთ“!

გაიგონეთ?!

ვინაიდან დავით სერგეენკოს საბურთალოზე გამარჯვების შანსი არ აქვს, ბიძინა ივანიშვილმა იფიქრა, საბურთალოელებს გულს მოვულბობო და იპოდრომი აჩუქა. თუმცა, როგორც ალეკო ამტკიცებს, სერგეენკოს არც ეს უშველის, მიაწვებიან ნატა ფერაძესთან ერთად „ოცნებას“, დაამარცხებენ, გაათავისუფლებენ საბურთალოს და ეგრევე გამოიდარებს, ეგრევე იქმნება ნათელი. სხვათა შორის, იგივე ალეკო უბნობდა ამას წინებზე „ტვ უბორნიის“ ეთერში, ბიძინა ივანიშვილი საბურთალოს დაბომბვას აპირებს, თუ ხელი არ შევუშალეთ, ძაან ცუდი ამბები დატრიალდებაო. კინაღამ მოვკვდი სიცილით.



თუმცა... მოიცადეთ, როგორც ეროვნული ბანკის ყოფილი პრეზიდენტი (რომელმაც ერთ დროს ცხოვრება გაგვიკუპონა) რომან გოცირიძე აცხადებს საკუთარი პირით, ამ საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ანიტა რაჭველიშვილს (სტილი დაცულია):

„იპოდრომის გავერანებას დიდი ხანია აპროტესტებს ხალხი. პირველად იქ პარკის გაშენების მოთხოვნით აქცია წამოიწყო სოციალურ ქსელში ჩვენმა საამაყო მომღერალმა ანიტა რაჭველიშვილმა“.

განა ცოტაა? ის, რომ მომღერალმა ანიტა რაჭველიშვილმა სოციალურ ქსელში იპოდრომის გადასარჩენად აქცია წამოიწყო, განა არ არის დასაფასებელი?

ამიტომ... მადლობა ვის? რა თქმა უნდა, ანიტა რაჭველიშვილს, რომან გოცირიძეს და მთელ „ნაციონალურ მოძრაობას“!

თუმცა!

აქ ცოტაოდენ ხელს გვიშლის „ქართუს“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ნიკოლოზ ჩხეტიანი, რომელიც აცხადებს, იპოდრომის ტერიტორია 2010 წელს კერძო პირებისგან 52 მილიონ დოლარად არის ნაყიდი და ეს კერძო პირები წინა ხელისუფლებასთან არიან დაკავშირებულნიო. ამასთანავეო, ცენტრალური პარკის გაშენება 15–20 მილიონი დოლარი დაჯდებაო. არ დაგავიწყდეთ, ეს ტერიტორია, დაახლოებით 36 ჰექტარია.

თბილისის მერობის ყოფილი კანდიდატი ზაალ უდუმაშვილი იძახის, თუ მერი გავხდებოდი, ამ ტერიტორიას ბიძინა ივანიშვილისგან გამოვისყიდდი და წელიწადნახევარში მოცეკვავე შადრევანს გავაკეთებდიო, პროექტში უცხოელებსაც ჩავრთავდიო.

ხედავთ? თურმე უდუმაშვილიც გეგმავდა, ივანიშვილისგან გამოვისყიდიდიო, შადრევანს გავაკეთებდიო, წყალი აასხამდა და მერე შხეფებად წამოვიდოდაო, ოღონდ მუსიკალურადაო, ქორეოგრაფიულადაო.

აბა, მეგობრებო, მადლობა ვის? რა თქმა უნდა, ზაალ უდუმაშვილს და ნატა ფერაძეს, რომელიც თურმე ერთ-ერთია იმ აქტივისტებს შორის, რომელიც სხვადასხვა დროს იპოდრომის ტერიტორიაზე მშენებლობების წინააღმდეგ გამოდიოდა. ის დღესაც მიიჩნევს, რომ ქალაქის მთავრობა ცუდად იქცევა, როცა მოსახლეობის ჩართულობის გარეშე უკვეთავს ჰოლანდიურ კომპანიას პარკის დიზაინს ისე, რომ არ ეკითხება თბილისელებს.

ჰმ... ეგრე როგორ შეიძლება? რით ვერ გაიგეთ, რომ თბილისში ნატა ძალოს დაუკითხავად არაფრის გაკეთება არ შეიძლება? ა, ნახეთ, რას ამბობს:

„პარკი უნდა გაკეთდეს, რა თქმა უნდა, მაგრამ არა ისე, როგორც ამას ივანიშვილი აკეთებს. მიწა ჩემია და ვისაც მინდა იმას შევუკვეთავ, როგორც მინდა ისეთ დიზაინს — არ კეთდება არსად ასე, ცივილიზებულ სამყაროში, დემოკრატიულ საზოგადოებებში ასეთი მნიშვნელოვანი პარკები. ეს არ არის დემოკრატიული ნაბიჯები“.

მე დავინტერესდი, ექსპერტებს ვკითხე: ნეტავ როგორია დემოკრატიული ნაბიჯები? განიერი? შედარებით ვიწრო? ამ დროს შარვლის როგორი ტოტებია საჭირო? ტრაპეცია თუ წოწროპინა? აი, ხომ ხედავთ, რამდენი პასუხგაუცემელი შეკითხვა დაგროვდა? იმედია, ნიკა (ჩაჯვი) გვარამია და ნოდარ (ჩაჯვი) მელაძე თავიანთ საავტორო გადაცემებში ამომწურავად გამოიძიებენ ყველა დეტალსა და წვრილმანს. მოკლედ, ნატა ძალოს თქმით, პარკი უნდა გაკეთდეს, მაგრამ არა ისე, როგორც ბიძინა ივანიშვილი აკეთებს. მართალია, მან არ იცის, ბიძინა ივანიშვილი როგორ აკეთებს, მაგრამ მაინც. ერთი კი ცხადია, მილიარდერის ნაბიჯები არ არის დემოკრატიული.

აჰა, პირდაპირ გენიოსია ეს ქალი, რომელიც 2012 წლამდე ტყ... აურობდა. რავი, ეგრე თქვა თვითონ ტელევიზორში და მადლობა მას ამ ყველაფრისთვის, ძალიან დაგვეხმარა ცნობიერების ამაღლებაში!

რაღა დაგიმალოთ და... ჩვენი ცნობიერება მართლა დაიხვეწა, „ჭუტავიზიის“ ერთ-ერთ გადაცემაში ინტერაქტივის სახით დასვეს ასეთი შეკითხვა: „უნდა გვაჩუქოს თუ არა ბიძინა ივანიშვილმა „ლაგუნა ვერეც“? ამის მომფიქრებელი ჭუტა გენიოსია და მადლობა მას ამისთვის. არ დაგავიწყდეთ, თუ უახლოეს ხანში ივანიშვილმა „ლაგუნა ვერეც“ გვაჩუქა, იცოდეთ, რომ ეს იქნება „ჭუტავიზიის“ უდიდესი დამსახურება.

ამ სტატიის წერისას ჩემამდე მოაღწია ინფორმაციამ, რომ ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორია ყოფილა მამუკა ხაზარაძისა. ამას, ამ ხაზარაძეს უთქვამს, თხა თხაზე ნაკლები მგელმა შეჭამოსო, განა მე ვერ ვაჩუქებდი ლისის ტბას თბილისელებსო? თუმცაო, ბადრი ჯაფარიძეა სასტიკი წინაარმდეგი და რა ვქნა, ერთი საჭყმპალაო ადგილის გამო ძმაკაცს ხომ არ მოვიმდურებო? აი, კაცობა... აი, მეგობრობა გზებსა და გზაჯვარედინებზე... აი, ძმობა გზად და ხიდად. თქვენ კიდე იძახით, მევახშეო. რათა? იმათა, რომ გშურთ მამუკა ხაზარაძის მამულიშვილობა, იბოღმებით და აღარ იცით, გული როგორ ატკინოთ!

ამ სტატიის წერისას ასევე მაცნობეს, კუს ტბა ბუბა კიკაბიძისააო. მხცოვანი მუსიკოსი ღრმად ჩაფიქრებულა, უფიქრია, უფიქრია, უფიქრია და ბოლოს ხელი ჩაუქნევია, ვერაო, მე საკუთარ მამულს ვერ გავაჩუქებო, მოღალატის იარლიყს ვერ ჩამოვიკიდებ კისერზეო.

აი, მამულიშვოილობა! მადლობა ბატონ ბუბას და საქვეყნოდ ვაცხადებ: ჩვენ მას კუს ტბის მიმდებარედ აუცილებლად უნდა დავუდგათ ძეგლი და იქვე, ღობეზე დავკიდოთ საპატიო დაფა, სადაც ოქროს ასოებით ამოიტვიფრება: „დიდება გმირებს“!

და ბოლოს... გინდათ, გითხრათ, რამდენად გაყიდა გიგოლო უგულავამ მერობის პერიოდში იპოდრომი? 710 ათასად და თან მშენებლობის ნებართვაც გაუცია. შემდეგ მოვიდა ბიძინა ივანიშვილი, 52 მილიონად გამოისყიდა და ქალაქს გადასცა.

ჰოდა, მადლობა ვის? რა თქმა უნდა, გიგის!

* * *

მეგობრებო, ალბათ მიხვდით, რომ ამ მაიმუნებს მადლობას ვუხდი ირონიულად, სარკასტულად... ანუ ვაშაყირებ.

მე ნამდვილ მადლობას ვუხდი ბიძინა ივანიშვილს არა მხოლოდ გაკეთებული საქმეებისთვის, არამედ იმისთვისაც, რომ ეს დუპლეტები ბოლომდე გააშიშვლა. ეს ნაცარქექიები მხად არიან, დაიბრალონ ყველაფერი, მიიწერონ ყველაფერი, ოღონდ ე.წ. პოლიტიკაში იტივტივონ და სარგებელი ნახონ. თუმცა ვფიქრობ, ქართველი ხალხი ისე გაიზარდა, ამ ჯოგის მიერ გადმოყრილ საკენკს არ აკენკავს.

**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61

# ჩვენ ბუნებაში არ ზის მტრობა და შუღლი. გვიყვარს აქ მცხოვრები აზერბაიჯანელები, მათთან ერთად გავიზარდეთ, ჩვენი ნაწილია, მაგრამ ჩვენი ტერიტორიები ჩვენი უნდა იყოს

**ბერი კირიონი, დავით გარეჯის ღვთისმსახური:**

— მონასტერში 1994 წელს მივედი და კარგად მახსოვს აზერბაიჯანელი მესაზღვრეები თავის ტერიტორიაზე როგორ მოძრაობდნენ. ასე გრძელდებოდა 2004 წლამდე. 2004 წლიდან ჩვენს პატრულს ვეღარ ვხედავდი და აი, 2006 წლიდან გამოჩნდნენ აზერბაიჯანელი მესაზღვრეები.

2007 წლიდან უკვე სერიოზული საფრთხის წინაშე დავდექით.

მოგვიანებით გავიგეთ, რომ 2006 წელს იურიდიული აქტები შედგენილა, თუმცა ხელისუფლება გვაიმედებდა, რომ ყველაფერი კარგად იქნებოდა და საშიში არაფერი იყო. ნუ ღელავთ, საშიში არაფერია, ყველაფერი მათი მხრიდან არის პროვოცირებული, სიმშვიდე შეინარჩუნეთო. — გვეუბნებოდნენ და ჩვენც ვერ წარმოვიდგენდით, რომ ჩვენს ხელისუფლებას ჩვენს წინააღმდეგ შეეძლო ემოქმედა. როგორ უნდა გვეფიქრა, ხელისუფლება შეეგუებოდა იმას, რომ ჩვენი მონასტრის ტერიტო-




რიაზე მდგარიყო აზერბაიჯანელი მესაზღვრე და არ მოეშვა ქართველი მომლოცველი ჩვენამდე.

კარგა ხანი გრძელდებოდა ხელისუფლებისადმი ჩვენი ნდობა. იმედით ვიყავით. ამასობაში მოხდა 2008 წლის ომი. გარეჯის საკითხმა უკანა პლანზე გადაიწია. უბედურებაში ჰქონდა ქვეყანას თავი გაყოფილი. კარგა ხანი ჩვენც, ეკლესიასაც, დაგვჭირდა დრო ამ პრობლემებზე არ გაგვეწია წინააღმდეგობა ხელისუფლებისათვის. პარალელურად შეხვედრებიც გვქონდა და იყო დაპირებები. ყველა ღონეს ვიყენებთ მდგომარეობის გამოსასწორებლადო და ერთ დღეს დადგა მომენტი, რომ აზერბაიჯანელი მესაზღვრეები დადგნენ ჩიჩხიტურზე.

ამ პროცესში აქტიურობდა დღეს დაკავებული ივერი მელაშვილი, რომელიც გვიმტკიცებდა, რომ კოშკის ერთი ნაწილი ხვდება აზერბაიჯანელების მხარეს, ამიტომ უნდა იდგეს აზერბაიჯანელი მესაზღვრეო. ერთი კუთხე თუ აზერბაიჯანის მხარეს დგება, სამი კუთხე საქართველოს მხრისკენაა და რატომ უნდა მდგარიყო მხოლოდ აზერბაიჯანელი მესაზღვრე, ამაზე პასუხი არ ჰქონდათ.

იქით მხარეს ჩვენ ფეხსაც ვერ ვდგამდით.

ბევრი კამათი, ბევრი წინააღმდეგობა იყო, მაგრამ მაინც არავის გვჯეროდა, რომ შეიძლებოდა ხელისუფლების რომელიმე წარმომადგენელს თავისი ქვეყნის წინააღმდეგ რაიმე მოემოქმედებინა და ჩვენც უკან ვიხევდით, რაღაცნაირად.

2006 წელს ამოვიდნენ აზერბაიჯანელები უდაბნოში.

უდაბნო არის, როგორც მცირე ვარძია, 69 სენაკით, უნიკალური კედლის მხატვრობით, გარეჯულის სკოლას რომ უწოდებენ, იმის, და დაიკავეს მონასტერი. მაშინ დამთავრდა ჩვენი ნდობა ხელისუფლებისადმი და მივხვდით, რომ არათუ აგვარებდნენ საკითხს, არამედ აზერბაიჯანელები შემოდიოდნენ უკვე უდაბნოში.

ხელისუფლება მოგვარების რეჟიმში რომ ყოფილიყო, შეუძლებელი იქნებოდა, უდაბნოზე საერთოდ ყოფილიყო ხელის ხლება. 2012 წლის 6 მაისს უკვე ცხადი გახდა, რომ უკვე სხვა საკითხთან გვქონდა საქმე — რეჟიმი ჩართული იყო

აზერბაიჯანისადმი გარეჯის გადაცემის პროცესში. დავიწყეთ აქციები, 8000-მდე ადამიანი ამოვიდა გარეჯში. დაიწყო დაშინებები, მუქარები სუსისგან, პოლიციისგან, პატრული აკავებდა მანქანებს, რომ არ ამოსულიყვნენ გარეჯში, მაგრამ ხალხი მაინც მოვიდა. ამასობაში არჩევნები მოახლოვდა და კატასტროფა იყო ხელისუფლებისთვის — გარეჯი იკარგებოდა. ამასობაში გავრცელდა ინფორმაცია და ყველამ ვნახეთ, რომ

ამ დროს ამერიკაში ალიევი და სააკაშვილი ხვდება ერთმანეთს. შეთანხმდნენ იმაზე, რომ იმ ეტაპზე აზერბაიჯანი გადასწევდა თავის საზღვრებს უკან.

დათმეს პოზიციები და დაგვიბრუნდა უდაბნო ჩვენ.

იმ დროიდან დავიწყე აქტიური ჩართვა ამ საკითხში, რადგან მივხვდი, რომ ემოციურ დონეზე ეს საკითხი არ მოგვარდებოდა, საჭირო იყო იურიდიული მასალები, დამამტკიცებელი, კარტოგრაფიული მასალები. მოვიძიე, შევაგროვე ყველაფერი, ამასობაში „ქართული ოცნებაც“ მოვიდა ხელისუფლებაში და შევხვდი ირაკლი ალასანიას, რომელმაც შეკრა ჩვენს მიერ მოძიებული მასალები ერთ პაკეტად და წარუდგინა პრემიერ ირაკლი ღარიბაშვილს.

სამადლობლად უნდა ვთქვა რამდენიმე სიტყვა ირაკლი ღარიბაშვილისადმი. მან ეს ყველაფერი პირად საქმედ გაიხადა.

კი, გასაგებია, პრემიერი ხარ, გევალება სახელმწიფოზე ზრუნვა, ვალდებულებაა, შენი ფუნქციაა, მაგრამ არის რაღაც ადამიანური




წილი, მხოლოდ ჩინოვნიკი კი არა, როგორც ადამიანი, ქართველი — ჩაერთო საქმეში, გული აგიძგერდეს. ეს მოხდა ამ შემთხვევაში. ვანახეთ ყველაფერი პრემიერს და ვთხოვეთ, პირადად დაინტერესებულიყო ამ საკითხით. მაშინ იყო ასეთი სამსახური — კრიზისებისა და უსაფრთხოების მართვის სამსახური, მისი ხელმძღვანელი იყო მინდია ჯანელიძე. ის ესწრებოდა ჩვენს შეხვედრას. პრემიერმა დაავალა მინდია ჯანელიძეს, რომ



გაეგრძელებინა საქმის კვლევა ბოლომდე — რაც საჭირო იქნება, ჩემგან დახმარება, გარანტირებული გაქვსო. ჩაერთო მინდია ჯანელიძეც ამ საქმეში, უფრო გაღრმავდა კვლევა. მას, ცხადია, უფრო მეტი შესაძლებლობა ჰქონდა კვლევის. იქ იყო გამოძიების ერთი წევრი, რომელსაც, საბოლოო ჯამში, პროფესიულ დონეზე დაევალა ამ ყველაფრის დალაგება. ეს კაცი იყო გიორგი სვანაძე, ძალიან კარგი კაცი, რომელმაც თემატურად დაალაგა ყველაფერი — იურიდიული პაკეტები ერთად შეკრა, მასალები და ამ საბჭოს სხდომაზე მოხდა პირველი ფართო შეკრება ყველა ძალოვანი უწყების. მათ შორის მოვიწვიეთ ივერი მელაშვილიც. მაშინ ჯალაღონია (დავით ჯალაღონია. — რედ.) იყო საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, რომელიც, ასევე, იყო ამ კომისიის თავმჯდომარე.

მელაშვილს რომ ვკითხეთ, რომელ რუკაზე მუშაობდი, როცა ერთი რუკა გვაქვს ოფიციალური და ლეგიტიმური-თქო, მან თქვა, ეს რუკა ჩვენ გვაქვსო. კი, მაგრამ, როგორ უნდა გავიგოთ, რომ ეს რუკა გაქვთ-თქო. ჩვენ ხომ გკითხეთ ადრე, თუ გაქვს ასეთი რუკაო და ხომ გვითხარი, რომ არ გქონდაო. არაო, მაშინ დავიბენი და ვერ მივხვდი, რას მეკითხებოდითო, — გვიპასუხა. ეს იყო მანევრი, რომ იმ სხდომაზე რაღაცნაირად თავი გამოეძვრინა. შემდეგ მიხვდა, რომ ზოგად ჭრილში, მტყუანი იყო, ჰქონდა რუკა და გაავლო საზღვარი ისე, გამრუდებულად. მერე უარყო ისევ, ეს რუკა ჩვენ არ გვაქვსო. საბოლოო ჯამში. ეს რუკა აღმოჩნდა ნატალია ილიჩოვას კაბინეტში. ილიჩოვა გახლდათ სახელმწიფო საზღვრის დაცვის პოლიციის დეპარტამენტის კარტოგრაფიის განყოფილების მთავარი ოფიცერი.

ეს ხდება 2015 წელს და ამ წლების განმავლობაში ეს ადამიანები კვლავ მუშაობდნენ ამ სტრუქტურაში.

მერე ღარიბაშვილი აღარ არის პრემიერი, მოდის კვირიკაშვილი და მის დროს უკვე ხდება ამ პროცესების შენელება. გადავიდა პროცესი უფუნქციობის მდგომარეობაში. მე, დაახლოებით, სამჯერ მაინც გამოვხატე პროტესტი ამ მიმართულებით, შევხვდი კვირიკაშვილსაც. იყო შეპირებები, დაძაბული საუბრებიც მქონდა ბოლო შეხვედრაზე. შემდეგი პრემიერი ბახტაძე პოზიტიურად მიუდგა ამ საკითხს. რაც მოასწრო — გააკეთა. შექმნა ახალი კომისია, ის, რაც დღეს გვაქვს და დაითხოვა კომისიიდან ივერი მელაშვილი და ნატალია ილიჩოვა. მან ნამდვილად დაიკავა ძალიან პრინციპული პოზიცია. არ მინდა ახლა ამაზე ლაპარაკი. შემდგომ უკვე გახარია ხდება პრემიერი და სიმართლე უნდა ითქვას, ისევ გაჩერდა პროცესი და რომ არა ირაკლი ღარიბაშვილი, არ ვიცი, ეს საქმე როგორ განვითარდებოდა. ირაკლი ღარიბაშვილის პოლიტიკაში შემობრუნების მერე ხდება ჩვენი









კავშირების აღდგენა, შეხვედრა, თხოვნა, რომ ვერ ვხვდებოდი, რა ხდებოდა ჩვენს თავს. მასალები დაიდო. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა 7-თვიანი მოკვლევა ჩაატარა და დადო დასკვნა, რომ ივერი მელაშვილის და ნატალია ილიჩოვას საქმიანობა შეიცავს სახელმწიფო ღალატის ნიშნებს. ვერ დავძარი ეს საქმე, მით უმეტეს, რომ ეს დასკვნა უკვე იყო დადებული. მოკლედ, ღარიბაშვილის მობრუნების მერე, როცა უკვე ვფიქრობდი, რომ „ნაცმოძრაობა“ და „ქართული ოცნება“, ეტყობა, ერთი ქოლგის ქვეშ არიან-მეთქი, ირაკლიმ მთხოვა, მომეცი ცოტა დრო და მივხედავ ამ საქმესო. როგორც აღმოჩნდა, მას ჰქონდა საუბარი ბატონ ბიძინა ივანიშვილთან, გააცნო მას გარეჯის ფაქტობრივი და იურიდიული მხარე. ივანიშვილი გაოცებულა: არ ვიცოდი არაფერი ამის შესახებო, აღელვებულა ძა-



ლიან და მიუცია თანხმიერება — გააგრძელე მუშაობა და რაც საჭიროა ჩემგან, მზად ვარო.

ჩვენი პრობლემა რაც იყო, ანუ ის 1/200 000-იანი მასშტაბის იურიდიული რუკა საქართველოში არ იყო, როგორც მელაშვილი და ილიჩოვა ამბობდნენ.

აზერბაიჯანი ან სომხეთი არ მოგვცემდნენ რუკას.

მაშინ ირაკლი ღარიბაშვილმა შეატყობინა ბიძინა ივანიშვილს, რომ არ გვქონდა ეს ლეგიტიმირებული, ოფიციალური, იურიდიული ძალის მქონე რუკა.

აქ მნიშვნელოვანი ისაა, რომ 2019 წელს ჩვენი კომისიის მიერ მოხდა ჩვენს ხელთ არსებული ამ რუკის გამოყენება საველე გასვლაზე — აზერბაიჯანის და საქართველოს წარმომადგენლები რომ გავიდნენ, რათა საზღვარი ადგილზე დაგვედგინა.

ჩვენმა მხარემ ეს რუკა აჩვენა მათ, კერძოდ, რუკის 24-ე ნომენკლატურა.

აზერბაიჯანელები ძალიან დაიბნენ. ჩვენ ეს რუკა ხმარებაში არ გვქონიაო. — იტყუებოდნენ. სინამდვილეში, დღემდე ამბობენ, რომ ამ რუკით ხელმძღვანელობდნენ. ჩვენ 24-ე ნომენკლატურის კი არა 54-ის, 65-ი ნომენკლატურის რუკებს ვხმარობდითო, 80-იან წლებში გაკეთებულ რუკებსო. ჩვენ მივუთითეთ, რომ გაერკვიათ ყველაფერი.

ორ კვირაში ხდება ჯანდარაზე საველე გასვლა და კომისიის წევრების შეხვედრა და აზერბაიჯანს მოაქვს უკვე იგივე რუკა, რომელიც გარეჯის მონაკვეთს ეხება, დაახლოებით, 200 კმ.-იან ზოლს, ოღონდ თუ ჩვენს შემთხვევაში, ხაზი გადიოდა თხემიდან 500მ აზერბაიჯანის სიღრმეში, ამათ შემთხვევაში, ხაზი გადიოდა თხემზე, ანუ რუკა იყო ერთი, წარმომავლობა ჰქონდა ერთი, მაგრამ განსხვავებული ზოლით. გამოცდილმა თვალმა, კომისიის წევრმა, ეს მაშინვე შეამჩნია. ეს კაცი გახლავთ სამხედრო წოდების პირი — ნოდარ ხორბალაძე, რომელიც არის საქართველოს შეიარაღებული ძალების კარტოგრაფიის დეპარტამენტის უფროსი, კარტოგრაფი, გეოდეზისტი, მეცნიერული ხარისხის მქონე.

როცა ბატონმა ნოდარმა დახედა აზერბაიჯანის რუკას, დაინახა, რომ ეს რუკა კომპიუტერული გრაფიკით იყო გასწორებული, ხაზებიც და დაშორებებიც არეული იყო და მიხვდა, რომ ეს იყო სპეციალურად გაყალბებული, მაგრამ არ უთხრა ეს აზერბაიჯანელებს, იმიტომ რომ, კომისიაზე შეკრების დროს უნდოდა ეთქვა: ნუ ვიკადრებთ ასეთ რამეებს ურთიერთობებშიო.

მერე მოხდა კორონა ვირუსის ეპიდემია.

ამ ინციდენტით ჩვენ დავინახეთ, რომ გვჭირდებოდა იურიდიული რუკა, რათა შეუძლებელი ყოფილიყო ყველა მაქინაცია.

ბატონი ბიძინა სწორედ აქ ჩაერთო და **დავით ხიდაშელმა, რომელიც „მთავარმა არხმა“ ქვეყნის დამაქცევრად და ფსბ-ს აგენტად გამოიყვანა, ჩაიდინა არნახული გმირობა საქართველოსთვის.** არ ვიცით, რა ფასად, რა კავშირებით მოახერხა ეს, მაგრამ მოიპოვა დედანი რუკა მთელი საქართველოს მასშტაბით. ჩვენ დღეს ხელთ გვაქვს რუკის დედანი, რომელზეც ვეღარავინ ვერ გვეტყვის, რომ საზღვარი ასე კი არა, ისეაო.

ეს რუკა რომ არა, ძალიან ძნელი იქნებოდა ლაპარაკი.

„ქართულ ოცნებას“ ეს თემა შეიძლება, რამენაირად აწყობს, მაგრამ ეს ხომ არ არის გამოგო-



ნილი ფაქტი. ეს ხომ არის ქვეყნის ღალატის კლასიკური სახე. შეუძლებელია, ამ ფაქტს ვინმე განზე გაუდგეს, იმიტომ, რომ, მთელი იურიდიული მასალა, კარტოგრაფიული მასალა გვეუბნება, რომ მთელი ის ტერიტორიები, რომლებიც დღეს აზერბაიჯანის ტერიტორიაზე არის მოხვედრილი, დაბალი იურიდიული აქტებით, ძნელია ამის დამტკიცება მათი მხრიდან.

მე პოლიტიკაში ჩარევას არ ვაპირებ, მაგრამ „ნაცმოძრაობის“ დროს იყო გენერალური კურსი, რომ ეს ტერიტორიები მისცემოდა აზერბაიჯანს. განცდა იყო სრული უცხოობის შენს ხელისუფლებასთან. მტრად გიყურებდნენ. გამწარებული მზერით, როგორც მტრის მიმართ.

არავის არ აქვს მიზნად აზერბაიჯანთან ვითარების დაძაბვა. ჩვენ ვართ მეგობრები, სტრატეგიული პარტნიორები და მეზობლები. ჯვარი გვწერია, ამის უარყოფა არ გვინდა, მაგრამ თუ ჩვენ წარვადგენთ იურიდიულ და კარტოგრაფიულ მასალას, ჩემო კეთილო მეზობელო, რომ ტერიტორიები ჩემია, ხომ ორი აზრი არაა, უნდა თქვა, ეს ტერიტორიები შენია. თუ აზერბაიჯანი იტყვის, რომ — არა, გასაგებია, მაგრამ ეს ჩვენია და დამთავრებულია მეზობლობა.

დღეს ქმნიან ნარატივს და ქართველ ერს აბნევენ: ხალხო, რას ვშვრებით, რას ვაკეთებთ?!



არაფერს ცუდს არ ვაკეთებთ. ჩვენს ეროვნულ ინტერესს ვიცავთ.

გავიხსენოთ, აფხაზეთის ომიდან მოყოლებული, ქართველმა ერმა ეროვნულ პლაცდარმზე სადმე გავიმარჯვეთ?

რაც ჩვენი გულისაა, რაც ჩვენი სულისაა, სადმე გავიმარჯვეთ?

ეს არის ამ წლების მანძილზე პირველი შემთხვევა, რომ ქართველმა ერმა თავის ეროვნულ ინტერესში გაიმარჯვა და დღეს ჩვენი ხელისუფლება არჩევნების წინ თუ არჩევნების მერე უკვე დგას ეროვნულ პოზიციებზე და ამბობს: ეს ჩემი ტერიტორიებია და ვერავინ წაიღებს. მე მოღალატეს დავიჭერ და შენ, ჩემო მეზობელო, მოგიწევს, რომ ეს საზღვრები გაასწორო და მეზობლებად დავრჩეთ. არც მეგობრობა, არც მეზობლობა და არაფერი არაა ცალმხრივი, ვინც ცალკეობას იწყებს, ის ამთავრებს. ჩვენგან ეს არ არის, ჯვარი გვწერია. მიდგომა არის ღია, გახსნილი. ჩვენ ბუნებაში არ ზის მტრობა და შუღლი. გვიყვარს აქ მცხოვრები აზერბაიჯანელები, მათთან ერთად გავიზარდეთ, ჩვენი ნაწილია, მაგრამ ჩვენი ტერიტორიები ჩვენი უნდა იყოს.

აზერბაიჯანს ყალბი ისტორიული ნარატივით მოჰქონდეს, თითქოს ეს ალბანური კულტურაა და ა.შ. არაა ეს სწორი. ალბანური სახელმწიფო არსებობას ამთავრებს მე-5 ს.-ში და გარეჯი იქმნება მე-7 ს.-ში, ანუ ახლოსაც არაა. ახლა გამოდიან აზერბაიჯანის და თურქეთის უმაღლესი პირები და ამბობენ, ჩვენ ვართ ერთი ერი ორი სახელმწიფოს პრინციპით. მაშინ სად არის აქ ალბანეთი, ვერ ვხვდები. თუ ერთი ერი არიან ორი სახელმწიფოთი, ალბანეთი აქ არ უნდა არსებულიყო, ხომ?

გარეჯი, ბერთუბანი, უდაბნო, ჩიჩხიტური, ეს არის ისტორიული კუხეთი. კუხეთს არავითარი კავშირი არ ჰქონდა ალბანეთთან. ამ მეზობლობაში არ შეიძლება, შეუძლებელია, გაუყალბო ისტორია აზერბაიჯანს, ასევე საქართველოს.

ნინო კალანდაძე (საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე სააკაშვილის მთავრობაში.—რედ.)ამბობს,



რომ ეს ტერიტორიები საბჭოთა კავშირის დროიდან არის აზერბაიჯანის კუთვნილება და ამ დროს აზერბაიჯანის პრეზიდენტის პრესსპიკერი აცხადებს, როგორც საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე კალანდაძე ამბობსო, ეს ტერიტორიები, აზერბაიჯანის კუთვნილებააო, ანუ იურიდიულ პლანში გადაიყვანა კალანდაძის განცხადებები. იყო რურუას გამოსვლებიც და გაბაშვილისაც — ჩვენი არ არისო და ა.შ.

ნორმალურ, ცივილიზებულ ქვყანაში ეს მაღალჩინოსნები ციხეში უნდა იყვნენ.

კომისია მუშაობს, საზღვრები დადგენილი არაა და შენ აცხადებ, რომ ეს სხვისი ტერიტორიააო. ეს კატასტროფაა.

წარმოვიდგინოთ, აზერბაიჯანელი ან სომეხი ჩინოვნიკი ასეთ რამეს თუ იტყოდა, რა დაემართებოდა იქ, თავის სახელმწიფოში. ჩვენ გავატარეთ მარტივად, იმიტომ რომ, სახელმწიფოებრივი შეგნება დაკარგული აქვს ერს.



ტელეკომპანია „ქართული არხისთვის“ (საავტორო გადაცემა „უცნობის კიდობანი“, წამყვანი გიორგი გაჩეჩილაძე — „უცნობი“) მიცემული ინტერვიუს მიხედვით, მოამზადა

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

# 31 ოქტომბერს ჩვენ უნდა ავირჩიოთ არა პარტიები, არამედ ახალი გზა

*გვესაუბრება „სოციალ-დემოკრატები — საქართველოს განვითარებისთვის“ თავმჯდომარე, პარლამენტარი გია ჟორჟოლიანი:*

**— ბატონო გია, არჩევნებამდე ცოტა დრო რჩება. როგორ მიმდინარეობს თქვენი წინასაარჩევნო კამპანია?**

— სანამ უშუალოდ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებზე ვისაუბრებდე, მინდა, საკითხი უფრო ზოგადად დავაყენო. ქართულ მედიას თუ მოვუსმენთ, იფიქრებთ, რომ საქართველოში, წინა წლების მსგავსად, ერთ-ერთი რიგითი არჩევნები ტარდება. პარტიები სხვადასხვა დაპირებებს აჟღერებენ: ზოგი ამბობს, რომ სკოლაში ბავშვებს საუზმე უფასო ექნებათ, ზოგიც პენსიის გაორმაგებას აანონსებს და ა.შ. სინამდვილეში, საქმე უფრო სერიოზულადაა. უახლესი ისტორიის მანძილზე, უკვე, მეორედ ხდება ფუნდამენტური ცვლილებები, რისი კატალიზატორიც კორონა ვირუსის პანდემია აღმოჩნდა. თავისი მნიშვნელობით ცვლილებები რაც ახლა ხდება, შეიძლება 80-იანი წლების ბოლოს — 89–90 წელს მსოფლიოში მომხდარ გრანდიოზულ ცვლილებებს შევადაროთ. წესრიგი რომელიც იმ დროს არსებობდა, გადაისინჯა. საბჭოთა ვერსია ნეო-ლიბერალურ გლობალიზაციასთან დამარცხდა. დღეს, ყველანი ვხვდებით, რომ ისტორია მეორეჯერ დასრულდა. ანუ, ძველი ეპოქა დასრულდა და ახალი იწყება. ამას თუ ვერ გავაცნობიერებთ იმ კინკლაობაში ჩავრჩებით, რაც ამ საარჩევნო კამპანიას თან ახლავს. გარკვეული დროის შემდეგ, შეიძლება, ეს ყველაფერი სასაცილოდ მოგვეჩვენოს, დავინახოთ, რომ ისეთ რაღაცებზე ვკამათობდით, რაც მეასეხარისხოვანი იყო და სინამდვილეში ვერ ვიაზრებდით იმას, თუ რა მნიშვნელობის ცვლილებები ხდებოდა ჩვენს გარშემო. ეს ეხება როგორც ეკონომიკურ-სოციალურ, ისე გეოპოლიტიკურ წესრიგს. ჩვენ უკვე დიდი ხანია მოწმენი ვართ პოლიტიკისა, რასაც ტრამპს მიაწერენ, ეს უკვე სხვა ამერიკაა. ეს აღარ გახლავთ ამერიკა — გლობალური ლიდერი. თუ ამერიკა გლობალური ლიდერი აღარ არის, მაშინ სხვა გეოპოლიტიკას ვიღებთ. როცა 80-იანი წლების შუაში — 85-87 წლებში „პერესტროიკა“ დაიწყო რთული საპროგნოზო იყო როგორ განვითარდებოდა მოვლენები. აშკარა იყო, რომ ფუნდამენტური რაღაცები იცვლებოდა. თუმცა, საბჭოთა კავშირი რომ დაიშლებოდა, ეს არავის წარმოედგინა. მაგალითად, ამერიკელები გაკვირვებულნი იყვნენ იმდენად სწრაფად განვითარდა მოვლენები საბჭოთა კავშირში 1990 წლის შემდეგ. ასე, რომ ამის პროგნოზირება ძალიან რთულია, მაგრამ ერთი რამ აშკარაა, რომ ჩვენ ახალ სამყაროში შევდივართ. ერთი ეპოქა დასრულდა, მეორე — იწყება და ეს კარგად უნდა გავიგოთ. თუ ამას გავაცნობიერებთ, მაშინ უნდა გავიაზროთ ისიც, რომ ჩვენ 31 ოქტომბერს რომელიმე პარტიას კი არ ვირჩევთ, არამედ ვირჩევთ ახალ გზას. ერთი გზა, უკვე, ავირჩიეთ, რომლითაც 30 წელი ვიარეთ, მთავრობები, პოლიტიკა ხან შედარებით ასატანი იყო, ხან სრულად აუტანელი, მაგრამ ეს გახლდათ ამ 30 წლისთვის დამახასიათებელი წესრიგი. დღეს აშშ-ს არ შეუძლია დამოუკიდებლად მოქმედება ისე, რომ მსოფლიოში განვითარება მისი ნების შესაბამისად მოხდეს. ჩვენ ეს არ შეგვიძლია, მაგრამ კარგად უნდა გავაცნობიეროთ, რომ მეასეხარისხოვან საკითხებს თავი დავანებოთ. ერთადერთი შანსი, გეოპოლიტიკური თვალსაზრისით რაც გვაქვს, ეს არის უაღრესად რაციონალური და პრაგმატული პოლიტიკის წარმოება, რაც უაღრესად სერიოზულ ანალიზს მოითხოვს.

ჩვენთან ასეთი ვითარებაა: თუ დავაკვირდებით, „ქართული ოცნების“ პოზიცია შემდეგია — ჩვენ გავაგრძელებთ სვლას ისე, როგორც აქამდე. ანუ, „ქართული ოცნება“ ცვლილებებს არ აპირებს. მისი პროგრამა, ხედვა, საუბარი, შეხვედრები, შეპირებები შემდეგია: თუ გზა გავიყვანეთ 300 კილომეტრი, დავამატებთ კიდევ 50-ს; პენსიას კიდევ 20 ლარით გავზრდით, „აწარმოე საქართველოში“-სთვის თუ იყო გამოყოფილი 39 მილიონი, გახდება 45 და ა.შ. ჯერ ერთი, ან გაიზრდება ეს თანხა ან არა. ასეც რომ იყოს, ეს ამ საქმეს ვერ უშველის. ჩვენ რადიკალურად ვერაფერს შევცვლით. მეორე ვერსია კიდევ უფრო უარესია: დავუბრუნდეთ იმ მდგომარეობას, რაც „ნაცმოძრაობის“ დროს იყო. ამის აშკარა გამომხატველები არიან „ნაცმოძრაობა“, „ევროპული საქართველო“, „სტრატეგია აღმაშენებელი“, „გირჩი“ და მათთან ალიანსში მყოფი პოლიტიკური ჯგუფები. ასეთი რამ იმდენად მიუღებელია, ამაზე მსჯელობაც არ მინდა. ეს ძველი წესრიგის პირობებშიც კი მიუღებელი იყო, ახალი წესრიგის შემთხვევაში საერთოდ ნონსესია. ამ ვითარებაში, ჩვენ, ახალი გზა უნდა ავირჩიოთ. ისტორიამ დაადასტურა, რომ სოციალ-დემოკრატიულ პოლიტიკას შეუძლია ქვეყნები მძიმე ეკონომიკური მდგომარეობიდან გამოიყვანოს, შექმნას სტაბილური საზოგადოებები, სადაც პოლიტიკას ძლიერი სახელმწიფო წარმართავს და იგი არ არის დამოკიდებული რამდენიმე ბანკირზე, იმპორტიორზე და ფარმაცევტული კომპანიების მფლობელებზე. ამ პასუხისმგებლობას სახელმწიფო იღებს. აშშ-მ რომლის ბიუჯეტი 6 ტრილიონია, 4 ტრილიონი კიდევ დაამატა. ახლა, მიდის მსჯელობა რა ფორმით მოხდეს სამი მილიონის დამატება. ანუ, ბიუჯეტის გაორმაგება ხდება. ამერიკის ბიუჯეტი არის მთლიანი შიდა პროდუქტის ანუ, მთელი ეკონომიკის, დაახლოებით, 39%. ეს თუ გაორმაგდება, გახდება 80%. ეს ნიშნავს შემდეგს: სახელმწიფო ეკონომიკის 80%-ს არეგულირებს. ეს გახლავთ ომის პირობები. ეს უცნაური ომია. კერძოდ, როცა ხალხის დემობილიზება უნდა მოახდინო, რათა არ იმუშაონ, სამსახურში არ წავიდნენ, არაფერი არ გააკეთონ და ა.შ. მოკლედ, გადანაწილების ეპოქაა. ანუ, ახლა, ეფექტური, რაციონალური, მიზანმიმართული, გეგმიური სახელმწიფო პოლიტიკის გარეშე შეუძლებელია ამ კრიზისიდან გამოვიდეთ. თუ გვინდა საქართველოში მდგომარეობა გაუმჯობესდეს, ძველ გზაზე ე.წ. ნეოლიბერალურ მავნე, მცდარ პოლიტიკაზე, რომელმაც ჩვენი ქვეყანა ამ 30 წლის განმავლობაში წინ ვერ წაიყვანა, უარი უნდა ვთქვათ. ისტორიას თუ გადავხედავთ, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დანგრეული ეკონომიკა და ქვეყნები სოციალ-დემოკრატიულმა პოლიტიკამ აღადგინა, ასევე, აღმოსავლეთ-აზიის ჩამორჩენილი ქვეყნები აქტიურმა სოციალ-დემოკრატიულმა განვითარების პოლიტიკამ აღადგინა, სადაც ეს პასუხისმგებლობა სახელმწიფომ იტვირთა. აი, ამ არჩევანის წინაშე ვდგავართ. სწორედ ეს არჩევანი უნდა გავაკეთოთ თუ გვინდა ჩვენი ქვეყანა და მომავალი გადარჩეს.

**— ბატონო გია, რა არის სოციალ-დემოკრატების ძირითადი პრინციპები?**

— ეს პრინციპები შემდეგია: სახელმწიფო საზოგადოებრივი, სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის წარმმართველია. იგი ერთი მიმართულებით წარმართავს, გამოარჩევს პრიორიტეტებს და ამის მიხედვით ახდენს მხარდაჭერას. ჩვენი მოსაზრებით, ინდუსტრიულ განვითარებას ალტერნატივა არ აქვს. ვერ დამისახელებთ განვითარებულ ქვეყანას, სადაც ინდუსტრია განუვითარებელია. ყველა სხვა შემთხვევაში, ასეთი ქვეყანა ჩამორჩენილია. მეორე მიმართულებაა — არ მიატოვოს, არ გაწიროს ის ადამიანები და სექტორი, რომელიც მეტ-ნაკლებად დღესაც ფუნქციონირებს. საქართველოს მოსახლეობის 50% სოფლის მეურნეობაში არის დასაქმებული. ეს არაეფექტური მეურნეობაა, ადამიანები, ძირითადად, საკუთარი თავის გამოკვებისთვის მუშაობენ. ჩვენ, ამ ადამიანებს უნდა შევუქმნათ შესაძლებლობა განვითარებული ცხოვრებით იცხოვრონ. ეს ნიშნავს, რომ მათი საქმიანობა, შრომა მაღალნაყოფიერი უნდა იყოს. ეს მხოლოდ ერთ შემთხვევაში მიიღწევა — თუ მოხდება სოფლის მეურნეობის ინდუსტრიალიზაცია, შეიქმნება გადამამუშავებელი მრეწველობა, მოხდება ცოდნის, ექსპორტის, ხარისხის უზრუნველყოფა და ა.შ. ამას ცალ-ცალკე, თითო ადამიანი ვერ გააკეთებს. ამიტომ საჭიროა სახელმწიფოს აქტიური პოლიტიკა. ჩვენ, უნდა გავაკეთოთ რაიონული მასშტაბის კოოპერატივები, სადაც სახელმწიფო, თვითმმართველობებთან ერთად, პასუხისმგებლობას აიღებს იმაზე, რომ რაიონული მასშტაბის მრავალდარგოვანი კოოპერატივები შეიქმნას, სადაც ეს ადამიანები მოახერხებენ თავიანთი მოწეულის რეალიზებას, ხარისხის ამაღლებას და ა.შ. სოფლად სხვა ტიპის საქმიანობებიც უნდა დაიწყოს, არ ვგულისხმობ, მხოლოდ მომსახურებას. მაგალითად, კოოპერატივში უნდა იყოს სალონიც. ეს გზა გაიარეს აღმოსავლეთ-აზიის ქვეყნებმა. ვიღაცამ შეიძლება თქვას: ინდუსტრიას განვითარებულ ქვეყნებში დიდი წილი არ აქვსო. რა თქმა უნდა, არ აქვს, მაგრამ ის ცოტა რაც გააჩნია, ისეთი ტიპის ეკონომიკას ქმნის, სადაც სამუშაო ადგილები ჩნდება. ანუ, სოციალ-დემოკრატების ერთ-ერთი








პრინციპია განვითარება და სახელმწიფოს როლის გაძლიერება. მეორე, მთავარი პრინციპია ამ განვითარებაში ყველა ჩართოს და ადამიანები თანასწორნი გახადოს. ამისთვის აუცილებელია სამი რამ: პირველი — სურსათი, საცხოვრებელი პირობები, მეორე — ჯანდაცვა და მესამე — ცოდნა. მოკლედ მოგახსენებთ: ეკონომიკაში არსებობს მინიმალური სურსათის მიღწევადობის პოლიტიკა. ანუ, გარკვეული პოლიტიკით ადამიანისთვის სურსათი ხელმისაწვდომი უნდა გახდეს. ხელმისაწვდომობა შეიძლება უზრუნველყოფილი იყოს სხვადასხვა მეთოდებით. ერთ-ერთია ირიბი გადასახადების მინიმიზება ან სრულად გაუქმება. მაგალითად, დამატებული ღირებულებების გადასახადების გაუქმება პირველადი მოხმარების საქონელზე — პურზე, ბრინჯზე და ა.შ. ჯანდაცვაზე ბევრს არ შევჩერდები. მესამე გახლავთ ცოდნა, რაც ფული ღირს და ვიღაცამ უნდა გადაიხადოს. ფეოდალურ საზოგადოებებში მეფეები და არისტოკრატები შვილებს სახლებში ასწავლიდნენ. მაშინ, მასიური განათლების ფუნქცია ეკლესიამ



აიღო. ეს ერთგვარად ის როლი იყო, რაც დღეს სახელმწიფომ უნდა შეასრულოს. ანუ, ხარისხი რადიკალურად უნდა გაუმჯობესდეს. ეს სამი სფერო უნდა გახდეს სახელმწიფოს ზრუნვის საგანი. ამის პარალელურად, ცალკეული სეგმენტები კონკურენტული აქტივობებისთვის დაშვებული უნდა იყოს. ეს უნდა გააკეთოს სოციალ-დემოკრატიულმა პოლიტიკამ. ბოლოს, თუ ჩვენ გვინდა ადამიანები თანასწორნი გავხადოთ და ამავე დროს სახსრები მოვიპოვოთ, სამართლიანი საგადასახადო სისტემა უნდა შევქმნათ. სახელმწიფოს სჭირდება ფული. ადამიანს რომელსაც ხელფასი 500 ლარი აქვს, ბიუჯეტში 100 ლარს იხდის, ეს ძალიან დიდი თანხაა. მაგრამ თუ თქვენ, ხელფასი ათი ათასი ლარი გაქვთ და აქედან ორი ათასს იხდით, თუ სამს გადაიხდით არაფერი დაგიშავდებათ, შვიდი ათასი ლარი დაგრჩებათ და კარგად იცხოვრებთ. ანუ, მაღალი შემოსავლებისშემთხვევაში გადასახადი უნდა გაიზარდოს. ეს გარკვეულ შემოსავლებს მოიტანს, რაც ამ სამ სფეროში უნდა წავიდეს. მე, პირველ რიგში ამ თანხებს ეკონომიკაში გავუშვებდი. იმიტომ, რომ სამივე სფერო ერთმანეთზეა მიბმული, ცალ-ცალკე ეფექტური არცერთი არ არის. ამ ყველაფერმა მომავალში უფრო თანასწორი საზოგადოებისთვის საფუძველი უნდა შექმნას. ეს არის სოციალ-დემოკრატიული პოლიტიკა. ამავე დროს, ეს გახლავთ ნამდვილი სოლიდარული და პატრიოტული საზოგადოება.

თუ ნებას მომცემთ, გეოპოლიტიკას დავუბრუნდები: სერიოზული კატაკლიზმები ხდება, რასაც აქ, ვერ ხვდებიან. ამერიკის პოლიტიკა კომიკურია. რურუა გამოუშვითო ამ მოტივით ყოველ მეორე დღეს კონგრესმენები წერილებს იწერებოდნენ. ამ დროს, ყარაბაღში ყოველდღიურად ბევრი ადამიანი იხოცება და ამაზე ხმა არ ამოუღიათ. გეოპოლიტიკა იცვლება. აშკარაა, რომ ამერიკა როგორც ჰეგემონი, გეოპოლიტიკური წესრიგის ერთადერთი წარმმართველი, ისეთი როგორიც იგი 30 წლის მანძილზე იყო, ასეთი ვეღარასდროს იქნება. სახეზეა მისი დისტანცირება გლობალური პრობლემებისაგან, თუნდაც, კორონა ვირუსისაგან, სადაც მან ლიდერობაზე უარი თქვა, ასევე, შუა-აღმოსავლეთში მისი პოლიტიკა აღარ არის აქტიური და სულ ბოლოს, სამხრეთ-კავკასიაში არსებულ კონფლიქტთან მიმართებაშიც, მან, ასევე, უარი თქვა ლიდერის პოზიციაზე.

ეს მთლიანად ამერიკის პოლიტიკის კრიზისია. ეს უნდა დავინახოთ. დღეს, ამ გლობალურ სიტუაციაში კრიზისია. გლობალიზაცია სერიოზული პრობლემების წინაშე დგას, ეს აშკარაა. მაგრამ ის რომ ცალ-ცალკე ქვეყნები იქნებიან, ეს დიდი ტყუილია. ასე არ არის. გლობალური წესრიგი იქნება, ეს ვერ დაიშლება. რეგიონული პოლიტიკები აქტიური ხდება. რეგიონული ლიდერები საკუთარ თავზე ბევრად მეტ პასუხისმგებლობას იღებენ, ვიდრე ადრე. ცივი ომის პერიოდში. ამერიკა თვითონ გეუბნება: შენ საქმეს თავად მიხედეო. შენ კიდევ ეუბნები: შენ მომხედეო, არადა ის ამას არ აკეთებს. ეს, უკვე, აბსურდული დამოკიდებულებაა — შენ გინდა რომ ვიღაცის კოლონია იყო, ყველაფერი იმან გადაგიწყვიტოს და ის გეუბნება: მე, არ გიწყვიტავ ამ საკითხებსო. ანუ, აღმოჩნდები, აბსოლუტურად, აბსურდულ ვითარებაში — აღარც კოლონია ხარ და აღარც შენით გინდა რამე გადაწყვიტო.

ამიტომ, მგონია, რომ ჩვენ ასეთი სტერეოტიპები, რაც 90-იანი წლების დასაწყისში შეიქმნა, უნდა გადავიაზროთ. თუ ეპოქა იცვლება, ეს გეოპოლიტიკურ ცვლილებებს იწვევს და ეს უნდა გადავიაზროთ. სხვისი მოწყალების იმედზე ყოფნა არ არის სოციალ-დემოკრატიული პოლიტიკა. ეს პოლიტიკა ჩვენ ჩვენს თავზე უნდა ავიღოთ.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# 1816 წლის ტრაგედია

## რა კატასტროფული გავლენა მოახდინა ამინდის ცვლილებამ მსოფლიოზე

ყოველწლიურად ადამიანის გავლენა კლიმატზე უფრო და უფრო თვალსაჩინო ხდება — ყინულის კატასტროფული დნობა, წყალდიდობები, ტყეებში გაჩენილი ხანძრები და სხვა ბევრი ნეგატიური მოვლენა პლანეტის მიმართ ჩვენი უგულო დამოკიდებულების შედეგია. დედამიწას შეუძლია მკაცრად იძიოს ჩვენზე შური და ამის ნათელ მაგალითად 1816 წელი გვევლინება — ეს არის გაკვეთილი, რომელმაც ღრმად უნდა ჩაგვაფიქროს.



მეტეოროლოგიური დაკვირვებების მთელი ისტორიის მანძილზე 1816 წელი ყველაზე ანომალური იყო. მას ამაოდ როდი უწოდებენ „წელიწადს ზაფხულის გარეშე“, ევროპა და ჩრდილოეთი ამერიკა საშუალო წლიური ტემპერატურის მკვეთრად დაცემის მსხვერპლი გახდნენ, რაც სინამდვილეში მხოლოდ ერთი კი არა, სამი წელი გაგრძელდა და კაცობრიობაზე სერიოზული გავლენა მოახდინა.

სიცივეს წინ სხვა სერიოზული კატასტროფა უძღვოდა წინ.

1815 წელს დაიწყო ვულკან ტამბორას ამოფრქვევა ინდონეზიის კუნძულ სუმბავაზე. ეს იყო კაცობრიობის ისტორიაში ამ ტიპის ყველაზე დიდი კატაკლიზმი. ვულკანის ამოფრქვევა ძლიერი აფეთქებით დაიწყო, რომლის ხმაც კუნძულიდან რამდენიმე ათასი კილომეტრის მოშორებითაც გაისმა. ვულკანური ფერფლისა და ორთქლის რაოდენობა იმდენად დიდი იყო, რომ ვულკანიდან 600 კმ-ის რადიუსში სამი დღით უკუნმა სიბნელემ დაისადგურა.

ინდონეზიის კუნძულების სანაპიროებს თავს ოთხი მეტრის სიმაღლის ცუნამი დაატყდა თავს, რომელმაც სიკვდილი და ნგრევა მოიტანა. ყველაზე მიახლოებითი დაანგარიშებით ვულკანის ამოფრქვევას და მის შედეგებს არქიპელაგის 71 ათასი მოსახლის სიცოცხლე შეეწირა, მაგრამ ეს ყველაფერი როდი იყო.

ფერფლის უზარმაზარმა რაოდენობამ, რომელიც ატმოსფეროში ავიდა, ჩრდილოეთ ნახევარსფეროში ვულკანური ზამთრის ეფექტი გამოიწვია, რომელმაც მომდევნო სამი წლის განმავლობაში დედამიწის სხვადასხვა კუთხეში ასობით ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, 1816 წელს ჩრდილოეთ ნახევარსფეროში ზაფხული არ დამდგარა.

ტამბორას ამოფრქვევამ საშუალო წლიური ტემპერატურის 2,5 გრადუსით დაწევა გამოიწვია. თითქოსდა ეს ბევრი არ არის, მაგრამ ამას საშინელი შედეგები მოჰყვა. ტემპერატურის დაცემის გამო მარტში გაზაფხული არ მოვიდა და ევროპასა და ამერიკაში ზამთრის ტემპერატურა შენარჩუნდა.

ევროპის დიდ ნაწილში ივნისსა და ივლისში ყინვები დაიჭირა, ზოგიერთ ქვეყანაში კი, მაგალითად, გერმანიაში ამას თან ახლდა საშინელი ქარიშხლები, გადაუღებელი წვიმები და სეტყვა. რეინი ნაპირებიდან გადმოვიდა და უზარმაზარი ტერიტორიები დატბორა, შვეიცარიაში კი განუწყვეტლად თოვდა. დაახლოებით ასეთივე სიტუაცია იყო ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტზე ალასკიდან დაწყებული, პანამის სრუტით დამთავრებული. სამი წლის განმავლობაში ჩრდილოეთ ნახევარსფეროს ზაფხული არ ღირსებია, რამაც მოუსავლიანობა და შიმშილობა გამოიწვია. 1816 წლის ზაფხულის ბოლოსთვის ფასებმა ზრდა დაიწყო და 1818 წლის ზაფხულისთვის 10-ჯერ გაიზარდა.

ევროპისთვის, რომელსაც ჯერ სული ვერ მოეთქვა ნაპოლეონის ომების გამო, ეს ძალზე სერიოზული გამოცდა აღმოჩნდა. ბევრ ქვეყანაში შიმშილობის ფონზე მუცლის ტიფისა და ქოლერის ეპიდემიები დაიწყო, ამას კი სახალხო მოძრაობა მოჰყვა. ზოგ ქვეყანაში მასების აღშფოთება მასობრივ არეულობებში, საწყობების დარბევასა და ადამიანების ხოცვაში გადაიზარდა.

შვეიცარიაში სიტუაცია იმდენად დაიძაბა, რომ ხელისუფლება იძულებული გახდა, საგანგებო მდგომარეობა და კომენდანტის საათი დაეწესებინა. ევროპის ერთ-ერთ ყველაზე უზრუნველყოფილ ქვეყანაში ადამიანები საკვების გამო ერთმანეთს კლავდნენ და მოროდიორობდნენ. ირლანდიაში იმ სამი წლის შიმშილობისა და ავადმყოფობების გამო დაახლოებით 100 ათასი ადამიანი გარდაიცვალა.



შიმშილობისა და არეულობებისგან თავის დაღწევის გზად ბევრმა ევროპელმა ამერიკაში გაქცევა არჩია. მათ არ იცოდნენ, რომ იქ პრაქტიკულად იგივე პრობლემები ელოდათ, რომლებსაც ადგილობრივი სოციალური და ბუნებრივი განსხვავებები ერთვოდა თან, რომელთა მიმართ ბევრი მოუმზადებელი აღმოჩნდა.

ეს მოვლენები აზიაზეც ძალზე უარყოფითად აისახა. 1816 წელს ბენგალიაში დაიწყო ქოლერის საშინელი ეპიდემია, რომელიც კლიმატის ცვლილებებით მუტირებულმა ვიბრიონმა გამოიწვია. დაავადების მიმართ უძლურები აღმოჩნდნენ არა მხოლოდ ადგილობრივი მცხოვრებლები, არამედ კოლონიური ჯარებიც. ბრიტანული არმიის მესამედმა, რომლებიც ინდოეთის სამხრეთ და ცენტრალურ შტატებში იყო განლაგებული, ეპიდემია ვერ გადაიტანა.

დაავადების აფეთქებამ მრავალი წელი გასტანა და არა მარტო მეზობელ, არამედ შორს მდებარე ქვეყნებშიც გავრცელდა. 1830–1831 წლებში ქოლერამ რუსეთის ევროპულ ნაწილამდეც მიაღწია და 200 ათას ადამიანზე მეტი იმსხვერპლა, მაგრამ ამბობენ, რომ ციფრი ძალიან შემცირებულია.

ევროპაში შიმშილობასთან და დაავადებებთან დაკავშირებულმა კატაკლიზმებმა შემოქმედებითი ინტელიგენციის გააქტიურება გამოიწვია.

მერი შელი, ლორდი ბაირონი და ჯონ პოლიდორი იძულებულნი იყვნენ 1816 წლის ზაფხული ჟენევის ტბის მახლობლად გაეტარებინათ და უამინდობისა და არეულობების გამო სახლში ყოფილიყვნენ ჩაკეტილები. ამ პერიოდში დაიბადა შელის რომანის „ფრანკენშტეინი, ანუ თანამედროვე პრომეთე“ სიუჟეტი და პოლიდორის მო□ხრობა „ვამპირი“. სწორედ ამ უკანასკნელმა ნაწარმოებმა შთააგონა ბრემ სტოკერი, რომ შეექმნა თავისი „დრაკულა“. მაგრამ სამწლიანი სიცივის პერიოდში მხოლოდ ეს იყო ერთადერთი დადებითი მომენტი.

**ბელა გველესიანი**
568 90 81 22

# მოსკოვმა მსოფლიოს აჩვენა, რომ კავკასიაში კვლავ ის არის ბატონი





ომის დასრულების თუ არა, მთიან ყარაბაღში ცეცხლის, ფართომასშტაბიანი ბრძოლების შეწყვეტის შესაძლებლობის იმედი გაჩნდა. ოპტიმიზმის საფუძველი გვაძლევს გასულ კვირას მოსკოვში გამართული სამმხრივი შეხვედრა. რუსეთის დედაქალაქში აზერბაიჯანის, სომხეთის და მასპინძელი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრები შეიკრიბნენ. სამიტი მარათონული გამოდგა, რომელიც თითქმის 11 საათი გრძელდებოდა და გვიან ღამით დასრულდა. შეხვედრა ნაყოფიერი გამოდგა, რადგან მხარეებმა მიაღწიეს შეთანხმებას ჰუმანიტარულ ზავზე, რათა გაცვალონ ტყვეები, სამშობლოში გადაასვენონ დაღუპულები, რომელთა რიცხვი მცირე არ არის. შეთანხმების პირობებს სამივე მხარე უპირობოდ დაეთანხმა, მსოფლიოს საერთაშორისო



საზოგადოებამ დადებითად შეაფასა შეხვედრის შედეგები.

მოსკოვში გამართულ შეხვედრას წინ მთელი რიგი მოვლენები უძღოდა. „ბლიც-კრიგი", ყარაბღის ტერიტორიაზე სრული კონტროლი მალე დაემთავრებინა, აზერბაიჯანის მხარეს არ გამოუვიდა. ხანგრძლივი ომი არ აწყობს არც აზერბაიჯანს და არც სომხეთს, რადგან ამით თავიანთი ქვეყნების ეკონომიკას დაანგრევენ. გარდა ამისა, ორივე ქვეყნის ლიდერს შინაური პოლიტიკური პრობლემებიც აქვთ, არ სურთ იმიჯის დაკარგვა საკუთარი მოსახლეობის თვალში. სომხეთის პრემიერ-მინისტრის ნიკოლ პაშინიანის განცხადებით, კომპრომისისთვის და მოლაპარაკებისთვისაც მზად არიან, ოღონდ აზერბაიჯანის მხარეც წავიდეს გარკვეულ დათმობებზე.

ყველაფერთან ერთად არსებობს გეოპოლიტიკური პრობლემები. აზერბაიჯანის პრეზიდენტის ილხამ ალიევის განცხადებით, კონფლიქტი არ უნდა გასცდეს ავტონომიის ფარგლებს, დაუშვებელია ინტერნაციონალიზება. „... ჩვენ არ გადავსულვართ სომხეთის ტერიტორიაზე, თუმცა გვქონდა ამის საფუძველი და შეგვეძლო კიდევაც" — უთხრა ჟურნალისტებს. იმასაც ითვალისწინებს, რომ სომხეთი კოლექტიური უსაფრთხოების ორგანიზაციის წევრია და საზღვრის დარღვევის, საბრძოლო მოქმედების იქ გადატანის შემთხვევაში, რუსეთი იძულებული იქნება შეასრულოს წესდებით აღებული ვალდებულება. გასულ კვირას პირდაპირ განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა: „...თუ კონფლიქტი გადაინაცვლებს სომხეთის ტერიტორიაზე, იძულებული ვიქნებით შევასრულოთ კოლექტიური უსაფრთხოების ორგანიზაციის წესდება და ჩავერიოთ" — სწორედ ამას გულისხმობდა ალიევი, როდესაც აცხადებს: „... პაშინიანი ცდილობს რუსეთის ომში ჩათრევას".

გასათვალისწინებელია თურქეთის ფაქტორი, იქაურ ხელისუფლებას კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარება სულაც არ უნდათ. პრეზიდენტმა რეჯეფ ტაიფ ერდოღანმა პირდაპირ უთხრა ნატოს გენერალურ მდივანს იენს სტოლტენბერგს, რომ ყარაბაღის პრობლემის მოგვარება მხოლოდ ომით არის შესაძლებელიო. თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი მევლუდ ჩაუშოღლუ გასულ კვირის დასაწყისში სასწრაფოდ ჩავიდა ბაქოში, ოფიციალური



განცხადების გარეშეც ნათელია, თუ რა თემაზე ექნებოდა საუბარი აზერბაიჯანის ხელისუფლებასთან.

მთიან ყარაბაღში კონფლიქტის განახლების შემდეგ ილხამ ალიევს პუტინთან არ ჰქონია კომუნიკაცია. ექსპერტების შეფასებითა თურქეთის გავლენის გამოისობით. გასულ კვირას გატეხა ნავსი, დაურეკა პუტინს, დაბადების დღე მიულოცა. გავრცელებული ინფორმაციით, ბევრი ისაუბრეს, თავისთავად ყარაბაღის საკითხზე. ამის შემდეგ რუსეთის საგარეო მინისტრი სერგეი ლავროვი ტელეფონით ესაუბრა სომეხ და აზერბაიჯანელ კოლეგებს. რუსეთის თავდაცვის მინისტრმა სერგეი შოიგუმ თავის მხრივაც დაურეკა კონფლიქტში მონაწილე ქვეყნების კოლეგებს.

სომხეთ-აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრების მოსკოვში ჩასვლა, იქაური ჟურნალისტებისთვისაც მოულოდნელი აღმოჩნდა. არავინ მოელოდა, რომ ალიევთან საუბრიდან 2–3 დღეში რუსეთი აიძულებდა კონფლიქტში მონაწილე ქვეყნებს მოლაპარაკების მაგიდასთან დამსხდარიყვნენ. თუმცა, კონფლიქტის დაწყებიდან 10 დღის მანძილზე რუსეთის ხელისუფლება დამკვირვებლის პოზიციაში იმყოფებოდა. მოსკოვში, სამიტის მიმდინარეობისას, უსაფრთხოების ზომები უპრეცედენტოდ გამკაცრებული. ჟურნალისტებს პროტოკოლური კადრების გადაღების უფლება მხოლოდ სტუმრების თანხმობის შემდეგ მისცეს, ისიც მხოლოდ ერთი-ორი კადრის. სომეხი და აზერბაიჯანელი კოლეგების ერთმანეთთან შეხვედრის კადრებიც). თავისთავად არ არსებობს. ერთმანეთს მიესალმნენ თუ არა ესეც კი უცნობია. გავრცელებული ინფორმაციით, ლავროვმა, რომელიც მედიატორის როლს ასრულებდა, მხარეებს საშუალება მისცა პირისპირ ესაუბრათ. შემაჯამებელ ბრინფინგზე, მოლაპარაკებების დასრულების შემდეგ, მხოლოდ ლავროვი წარსდგა ჟურნალისტების წინაშე და გააცნო უპირობოდ მიღწეული შეთანხმება.

მიღწეული შეთანხმების მიუხედავად, მაინც ირღვევა ზავის პირობები, რაშიც სომხები და აზერბაიჯანელები ერთმანეთს ადანაშაულებენ მიუხედავად ამისა, შეთანხმებას საერთაშორისო ორგანიზაციები, უპირველეს ყოვლისა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია წარმატებულად აფასებენ. ირანის პრეზიდენტმა ჰასან რუჰანიმ დაურეკა და მადლობა გადაუხადა ვლადიმირ პუტინს მხარეების მოლაპარაკების მაგიდასთან მიწვევისთვის. საერთოდაც, ირანი რეგიონში ერთ-ერთი დიდი მოთამაშეა, რომელიც სომხეთთან კეთილმეზობლურ ურთიერთობაშია.

შეთანხმების მიღწევის ფონზე უცნაურად გაიჟღერა ილხამ ალიევის განცხადებამ, რომელიც მოლაპარაკებიდან ორ დღეში გააკეთა: „...მთიანი ყარაბაღი აზერბაიჯანის ტერიტორიაა, ეს კარგად უნდა გაიგოს სომხეთის ხელისუფლებამ. თუ მოხდება მოლაპარაკების ფალსიფიკაცია, სათანადო ზომებს მივიღებთ... ყარაბაღს აუცილებლად დავიბრუნებთ, ომით იქნება თუ მოლაპარაკებით". აქვე საყურადღებოა თურქეთის პოზიცია. იქაური საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებით, მოლაპარაკების დაწყებას დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებენ და გააგრძელებენ თავიანთ ინტერესების გატარებას აზერბაიჯანში და მთელ ამიერკავკასიაში მათივე თქმით, რეგიონში თურქეთის გარეშე არანაირი პრობლემა ვერ მოგვარდებაო. მევლუდ ჩაუშოღლუს თქმით: „თურქეთი კვლავ აქტიურად დაეხმარება აზერბაიჯანს, როგორც პოლიტიკური, ასევე სამხედრო თვალსაზრისით".

სომხეთის დელეგაცია საგარეო საქმეთა მინისტრის ზაგრაბ მნაცაკიანის ხელმძღვანელობით ორი დღის წინ კვლავ ჩავიდა მოსკოვში, სადაც შეხვედრები გამართა თავის რუს კოლეგასთან და რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებთან. შეხვედრა-მოლაპარაკება ერთია, მაგრამ ომის აჩრდილი კვლავ დადის ამიერკავკასიაში. რით და



როგორ დასრულდება შექმნილი ქაოსი ჩვენს რეგიონში, ძნელია პროგნოზირება.

გასულ კვირას ყირგიზეთში საპარლამენტო არჩევნები გაიმართა. პროცედურა მშვიდობიანად ჩატარდა, არანაირი დარღვევები დამკვირვებლებს არ დაუფიქსირებიათ. არჩევნების წინასწარი შედეგების გამოცხადების შემდეგ იფეთქა არნახულმა არეულობამ. გავეშებული ბრბო, არჩევნების შედეგების გაყალბების მიზეზით შეიჭრა პარლამენტში, საკანონმდებლო ორგანო ბარბაროსულად (სხვა სიტყვას ვერ დავარქმევთ) ააოხრეს. წაიღეს ყველაფერი, რასაც მოერივნენ — კომპიუტერული ტექნიკა, ტელევიზორები და ა.შ. დანარჩენი დალეწეს მაგიდა სკამებიც. 3 დღე იძარცვებოდა დედაქალაქ ბიშკეკში მაღაზიები და სხვადასხვა კომერციული ორგანიზაციები. სამართალდამცავები დაიმალნენ. მოსახლეობა იძულებული გახდა შეექმნათ რაზმეულები და ასე დაეცვათ დედაქალაქში წესრიგი და თავიანთი ქონება.

პრეზიდენტი სარანბაი ჟენებეკოვი პირველ ორ დღეს არ გამოჩენილა. ამბობდნენ გაიქცაო, მაგრამ აღმოჩნდა დედაქალაქში იმყოფებოდა და გაავრცელა უცნაური ვიდეომიმართვა, თურმე იმიტომ არ მისცა სამართალდამცავებს ძალის გამოყენების უფლება, რათა მსხვერპლი აეცილებინა. ამასობაში ათასამდე ადამიანი დაზარალდა, არის დაღუპულიც. ციხეებიდან გამოიყვანეს დამნაშავეები, მათ შორის ყოფილი პრეზიდენტი ატამბაევი. პრეზიდენტი იძულებული გახდა კომენდატის საათი გამოეცხადებინა. ამის შემდეგ გამოჩნდნენ ქუჩებში ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლები და დაიწყეს მოვალეობის შესრულება – წესრიგის დაცვა-აღდგენა. ატამბაევი კი დააბრუნეს ციხეში, მაგრამ ვინმე ჟაპაროვი, რომელიც ადამიანის გატაცებისთვის იხდიდა სასჯელს (კიდევ 8 წელი ჰქონია მოსახდელი) პარლამენტარებმა პრემიერ-მინისტრად გაამწესეს. ექსპერტების შეფასებით ყირგიზეთში მოხდა სამხრეთის და ჩრდილოეთის კლანებს შორის დაპირისპირება. საერთოდაც, ყირგიზეთში ხელისუფლების ძალადობრივი დამხობა ჩვეულებრივი ამბავია. ახლა უკვე მეოთხე შემთხვევაა, რომელიც ნაწილობრივ განხორციედა.

**გია ბურდული**
551 71 27 07

# კერპთაყვანისმცემელ „ქურუმთა“ დასი, სახელად ოპოზიცია

## ოპოზიციას საქართველო სურამის ციხე ჰგონია, რომლის კედლებში ზურაბის ნაცვლად ბიძინა ივანიშვილი უნდათ ჩაატანონ



ერთად შეკრებილი ამდენი გონებაჩლუნგი აქამდე არ მინახავს.

ყველა როგორ ჰგავს ერთმანეთს — თითქოს ერთ ინკუბატორში არიან გამოჩეკილი.

რაიც მიშაა, გრიშაც იგია, თინა — ნინოა, გიგა — გიგია.

ნახეთ, რა კარგად ერითმებიან ერთმანეთს?

ერთნი არიან და იმიტომ!

ნიკანორი — შალიკოა, შალიკო — ვაშაძეა, ელენე ხოშტარია კი ორივე ერთადაა.

ამიტომაც შეკრა ამ შესანიშნავმა ოთხეულმა საძმო კავშირი გლდანში, ნიკა მელიას სამარიაჟო-სამაჟორიტარო მიტინგზე და ერთმანეთს საუკუნო ძმობა და მეგობრობა შეჰფიცა.

მიტინგზე გაირკვა, რომ ნიკა ნამდვილად ნაციონალია.









როგორც ჩანს, მოგვატყუა ბატონმა ანზორმა, ნიკას მამამ, ჩემი შვილი ნაციონალი არ არის, ქართველიაო, რომ ბრძანა ამასწინათ ერთ-ერთ ინტერვიუში, რითაც პირდაპირ მიგვანიშნა, რომ თუ ქართველი ხარ, არ შეიძლება ნაციონალი იყო და პირიქით.

ამ ინტერვიუს შემდეგ მიშას დაურეკავს ნიკასთვის და ნაწყენი ხმით უთქვამს: — არ მჯეროდა აქამდე, მაგრამ ახლა დავიჯერეო.

— რა არ გჯეროდათ, ბატონო მიხეილ? — უკითხავს ნიკას შეფისთვის.

— არ მჯეროდა, რომ მამაშენმა ძაღლის სტენტი ჩაუდგა მამაჩემს, მაგრამ ეს ინტერვიუ რომ წავიკითხე, დავიჯერეო.

სხვათა შორის, ბატონმა ანზორმა იმ ინტერვიუში ისიც გაამხილა, რომ 2012 წელს, ზუგდიდში, „ქართული ოცნების“ მხარდამჭერ მიტინგს დაესწრო მალულად და ნაცებს რომ არ დაენახათ, ხეს ეფარებოდა თურმე.

ზუგდიდელები დღემდე ეძებენ იმ ხეს, რომ ზედ მემორიალური დაფა მიაკრან: „ეს არის ის ხე, რომელსაც 2012 წელს „ქართული ოცნების“ მხარდამჭერ მიტინგზე ბატონი ანზორ მელია ეფარებოდა“.

კარგი კაცია ბატონი ანზორი, მაგრამ უფრო კარგი იქნებოდა თავისი შვილისთვის აეხსნა, რომ არ შეიძლება იყო ნაცი და იმავე დროს იყო ქართველი.

თუ ნაცი ხარ, ცოტნე დადიანი ვერ იქნები...

●



როგორც დასაწყისში ვთქვი, ერთად შეკრებილი ამდენი ერთი ჭკუის, ერთი გონების, ერთი მიზნის, ერთნაირად მოლაპარაკე, ერთნაირი ხმით მოყვირალი და მომკივანი არსება არ მინახავს.

ყველა ერთნაირია, ყველა ერთმანეთს ჰგავს, ყველას ერთი მიზანი აქვს: დაამარცხოს ბიძინა ივანიშვილი! და როცა ყველას ერთი საერთო მიზანი აქვს, ყველა ერთია, მხოლოდ სახელები აქვთ სხვადასხვა. აქედან გამომდინარე, სულ ტყუილია ის ამბავი, რადგან ბევრი დასახელების პარტია იღებს არჩევნებში მონაწილეობას, ამომრჩეველს დიდი და ფართო არჩევანი აქვსო.

ამ ოპოზიციურმა პარტიებმა თავიანთი გონებასუსტობის და არაკომპეტენტურობის წყალობით ეს ბევრი არჩევანი ერთადერთ იდიოტურ არჩევანზე დაიყვანეს — დავამარცხოთ ბიძინა ივანიშვილი!

თქვენ წარმოიდგინეთ, „ქართული ოცნება“ დავამარცხოთო, ამასაც კი არ ამბობენ, ბიძინა ივანიშვილი დავამაცხოთო, აუჩემებიათ.

— არ მომწონს ეს მოწოდება. რას ნიშნავს ივანიშვილი დავამარცხოთ? ივანიშვილი ერთი ადამიანია. ამ ერთი ადამიანის დასამარცხებლად ამხელა ლაშქარი ერთად რომ აპირებს ჯვაროსნულ ლაშქრობას, რამდენად გამართლებულია ეს? რას მოგვიტანს ერთი ადამიანის დამარცხება? სისტემა დავამარცხოთო, რომ ვამბობდეთ, კი, ბატონო, ამაში რაციონალურ აზრს ვხედავ, მაგრამ ერთი ადამიანის დამარცხება რას შეცვლის? — თქვა ერთმა ოპოზიციონერმა პოლიტიკოსმა, მაგრამ იმ წამსვე ჭილყვავებივით დაესივნენ და ჩააჩუმეს.

ჩვენმა ამომრჩეველმა, რომელსაც უკვე დემოკრატიის ოცდაათწლიანი გამოცდილება დაუგროვდა, კარგად იცის, რით მთავრდება და როგორ მთავრდება ერთი კაცის დამარცხებაზე ორიენტირებული პოლიტიკური ბატალიები.

მან ისიც შესანიშნავად იცის, რა დიდი უბედურება შეიძლება ქვეყანაში დატრიალდეს, თუ მოცემულ სიტუაციაში ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკურ ასპარეზს დატოვებს, რადგან დღეს სწორედ ის არის ის ძალა, რომელიც ქვეყანას ბალანსს და წონასწორობას უნარჩუნებს.

ქართველ ხალხს, ცხადია, სურს ახალი და უფრო ეფექტური ნაბიჯები გადაიდგას ყველა მიმართულებით — ეკონომიკაში, განათლების სფეროში, ჯანდაცვაში, საშინაო თუ საგარეო პოლიტიკაში, სოფლის მეურნეობაში, მაგრამ მან ასევე კარგად იცის, რომ ამ პრობლემის მოგვარება ბიძინა ივანიშვილის დამარცხებით კი არა, მისი კიდევ უფრო გააქტიურებით და პროცესებში უფრო ენერგიული ჩართვით არის შესაძლებელი.

ამიტომაც ქართველი ხალხის უმრავლესობისთვის სულაც არ არის მოსაწონი და მისაღები ლოზუნგი: დავამარცხოთ ბიძინა ივანიშვილი.

არ არის ეს მისაღები მათთვისაც კი, ვინც უკმაყოფილოა ქვეყანაში არსებული მდგომარეობით და შეიძლება უკმაყოფილოა თვით ბიძინა ივანიშვილითაც კი...

აი, ეს ვერ გაიგო ოპოზიციამ, რომელიც დანიელ ჭონქაძის მოთხრობის „სურამის ციხე“ სიუჟეტურ ქარგას ვერ გასცდა და საქართველო დღესაც სურამის ციხე ჰგონია, რომელიც თუ გინდა, რომ აშენდეს, მის კედლებში აუცილებლად ვიღაც უნდა ჩაატანო.

ოცდაათი წლის წინათ ეს „ვიღაც“ ზვიად გამსახურდია იყო, დღეს ბიძინა ივანიშვილია.

ქართული ოპოზიცია ვერა და ვერ გამოვიდა კერპთაყვანისმცემლობის ბნელეთიდან და ვერა და ვერ გადაეჩვია კერპებისთვის ადამიანების შეწირვას.

„კოსმოსის რჩეულებმა“ სააკაშვილმა, ნათელაშვილმა, მელიამ, მერაბიშვილმა, ბოკერიამ, ბურჯანაძემ, მაჭუტაძემ, თაკომ, კაკომ, თიკომ, ნიკუტამ, როგორც უზენაესთან განდობილმა ქურუმებმა, ხალხის სახელით, ქვეყნის გადარჩენის სახელით, კერპებს ბიძინა ივანიშვილი უნდა შესწირონ, მერე კი წამოვა ოქროს წვიმა, გვალვით გადახრუკული ყანები უცებ აბიბინდება, მაცივრები ხორაგით გაივსება, ქვევრები — ღვინით, ადამიანთა გულები კი სინათლით და ბედნიერებით განათდება.

ისემც თქვენ რა გითხრათ, თქვე ქოსატყუილა „ქურუმებო“, თქვე წვრილფეხა აფერისტებო!

წადით, დამეკარგეთ აქედან!

●

როგორც გითხარით, ყველა, ვისაც მთავარ მიზნად ბიძინა ივანიშვილის დამარცხება დაუსახავს, შევარდნაძის სახელობის ნაგავსაყრელიდან ამოყრილი ერთიდაიგივე ნაგავია, ოღონდ სხვადასხვა დასახელების „უპაკოვკაში“ შეფუთული.

— ჩვენ, მართალია, ერთი წარსული გვაქვს, მაგრამ მომავალი გვაქვს სხვადასხვა — თავიანთი ჭკუით გვატყუებენ „ევრონაცები“.

არა, არა, არა მარტო წარსული, მომავალიც ერთი და იგივე გაქვთ თქვენ და ამ მომავალს ქართული ნიურნბერგის პროცესი ჰქვია, რომელიც აუცილებლად გაიმართება.

**ვახტანგ ხარჩილავა**

# ბუბა, თენგო, ქიცი და ქიცმაცური

## პოლიტიკური ნოველა



მოსამსახურე ქალმა კარი ფრთხილად შეაღო, ფეხაკრეფით შევიდა. მოხუცს ისევ ეძინა. ირგვლივ მელოდიური ხვრინვა ისმოდა: ჩიტოგვრიტო, ჩიტო მარგალიტო დააა... დიმპიტაური, დამპიტაური, დიმპიტაური, დამპიტაური დააა...

- ბატონო ბუბა, – ჩასჩურჩულა ყურთან ქალმა.

მოხუცი შეიშმუშნა, გვერდი იცვალა და მელოდიური ხვრინვა განაგრძო.

- ბატონო ვახტანგ, – არ მოეშვა ქალი. თან გაიფიქრა, ნეტავ ეს ორი სახელი რაღა უბედურებაა, ერთი რომ დაერქმიათ, არ ეყოფოდაო?

მოხუცმა თვალები გაახილა, ქალს მიაშტერდა, კარგახანს უაზროდ უყურა, ბოლოს გაბრაზებულმა მიახალა:

- რა იყო?

- მიხეილი რეკავს, ბატონო ბუბა.

- აბა, მიხეილი?

- მიშა, მიხეილი, მიშიკო, უკრაინიდან.

- მიხეილი და მიშიკო? ორნი რეკავენ?

- არა, ერთია... აი, თქვენც ხომ ერთი ხართ და ორი სახელი გაქვთ?

- ააა, ჰოოო... მართალია, მეც ორი ვარ და ერთი სახელი მქვია.

- პირიქით, ბატონო ბუბა, პირიქით, – შეაპარა ქალმა.

- ჰო, პირიქით... რაო, რა თქვი, ვინ დარეკაო?

- მიშამ დარეკა, ყოფილმა პრეზიდენტმა, როცა გაიღვიძებს, გადმომირეკოსო, ძაან „ვაჟნი“ საქმე მაქვსო.

- ააა, ჩემმა პრეზიდენტმა დარეკა? – გამოცოცხლდა მოხუცი.

- დიახ, უნდა გავახაროო, სიურპრიზი მაქვსო.

- ჰმ... მიყვარს სიურპრიზები, მომიტანე ტელეფონი, ბარემ გადავურეკავ, მოვიკითხავ.

მოხუცი საწოლში წამოჯდა, სათვალე მოირგო. ქალმა ტელეფონი მოუტანა, მიხეილის ნომერი სათუთად აკრიფა.

- ალო, მიშაჯან, ბუბა ვარ.

- ხიიიიიიიხხხ, როგორ ხარ, ბუბაჯან?! – გაისმა ტელეფონში ჭყვიტინა ხმა.

— ძნელი ყოფილა თურმე სიბერეეე... გულო, გაუძელ ტკივილს, წვიმა მოსულააა, არვის ეგონოოოს, გაყიდულ არღანს ვტირიიიი.

- ხიიიიიიიხხხ... კარქი რა, ბუბაჯან, რა დროს შენი სიბერეა?!

- რავი, მიშაჯან, მუხლები აღარ მემორჩილება.

- მოკლედ, ეხლა სერიოზულად... წუხელ ბევრი ვიფიქრე და გადავწყვიტე, რომ საარჩევნო სიაში პირველ ნომრად უნდა ჩაგწერო.

დუმილი. მოხუცი გაშტერდა. თვალთაგან ცრემლი წამოუვიდა. ასეთ დაფასებას ნამდვილად არ ელოდა. თან დაიჯერა, თან ვერა.

- მაიცა, მიშაჯან, ღადაობ, ტო?

- რას ვღადაობ? ოლიგარქი ბორია უნდა დავამარცხოთ, შენ მძიმეწონოსანი პოლიტიკოსი ხარ, ხალხს უყვარხარ!

- მაიცა, მეორე ვინ იქნება, ნანი ბრეგვაძე?

- ვნახოთ, მაგაზე ვფიქრობ.

- ისე, მე რომ შენს ადგილზე ვიყო, მესამე ნომრად თენგიზ კიტოვანს ჩავწერდი, კაი ბიჭია, მიშაჯან, დამიჯერე.

- ეგ მეც ვიფიქრე, მაგრამ ნუგზარ წიკლაურმა მითხრა, ნამეტანი იქნებაო, ზვიადისტები განგვიდგებიანო.

- ზვიადისტები ცოცხლები არიან?

- რავი, დარჩნენ ცოტანი, რააა... მოკლედ, ეგეთი საქმეა, უნდა გვასახელო.

- ბაზარი არ არი, მიშაჯან, ხო იცი, არ გიღალატებ... თენგოზე და ნანიზე მაინც იფიქრე, გადავურეკავ, გაუხარდებათ.

- ჯერ ნუ გადაურეკავ, ვიფიქრებ, თემო ძიასთან შევათანხმებ, მარტო არა ვარ.

— თემო რომელია?

- ბიძაჩემი, აღარ გახსოვს, ვახტანგურებს რომ სვამდით ხოლმე.

- ააა, თემური, კაცო? მაგას რა დამავიწყებს? მოკითხვა გადაეცი, ბიძინას თავი უნდა გამოგიგზავნო-თქო!

— შენი იმედი გვაქვს, ბუბაჯან, წაველი.

ტელეფონი გაითიშა. მოხუცი წამოდგა. ისევ ჩამოჯდა, მუხლებმა უმტყუნა. ჩაფიქრდა. თვალწინ ის დღეები დაუდგა, ორი ავტომატიც რომ ემსუბუქებოდა. ეჰ, მაგარი დრო იყო, ტალიკ-ტალიკა ბიჭებმა გადაარჩინეს სამშობლო, სისხლისმსმელ გამსახურდიას გამოსტაცეს ხელიდან. აღარ დაადგა საშველი ამ მიწა-წყალს, ცხრა წელიწადი იყო გაბრწყინებული და აჰა, ისევ ჩაღამდა, ჩაკუნაპეტდა, აქაურობას გველეშაპი დაეპატრონა. უცებ მოხუცში მეორე „მე“-მ გაიღვიძა და პასუხგაუცემელი შეკითხვების დასმა დაიწყო: შე ოჯახაშენებულო, ჯერ გამსახურდიას გადაუდექი და შევარდნაძე ჩამოიყვანე, მერე კი შევარდნაძე გაწირე და მიხეილის მხარე დაიჭირე, ასე რაფერ იცვლი შეხედულებებს? წლების განმავლობაში ივანიშვილის ჯიბიდან ხუთი ათას ლარს იღებდი, როცა პოლიტიკაში მოვიდა, აღარ მოგეწონა, ეგრევე გავარდი, ბანკიდან დაგროვილი თანხა გამოიტანე, სადღაც გადამალე, დაგებრუნებინა უკან, ასე უფრო კაცური არ იქნებოდა? მოხუცმა ხელი აიქნია, უსიამო ფიქრები განდევნა, საერთოდ აღარ სურდა ბინძური შეკითხვების გახსენება... ყველას თავისი ცხოვრება აქვს, მოხერხებულობა და მარიფათი, ფულს სუნი არ უდის, გაძლევენ? გამოართვი. გართმევენ? გაიქეცი. აეგ არი, რააა! ისე, ერთი კი დაავიწყდა, მიხეილისთვის უნდა ეკითხა, პარლამენტში ჯამაგირი რამდენი ექნება? წესით, ათი ათასამდე კი უნდა იყოს, მანქანაც დასჭირდება თავის შოფრით, ბენზინი, ჯიბის ფული... რაც მთავარია, აქტუალური გახდება, ჟურნალისტები დაუძახებენ, შეკითხვებს დაუსვამენ, ჭკუას ჰკითხავენ. თენგოს უნდა დაურეკოს, გაუხარდება. ნომერი აკრიფა, ტელეფონი ნაპირა ყურთან მიიტანა.

- ალო, თენგოჯან, რავა ხარ?

- ფშშშშშშ... ფშხხხხხ... მაიცა, რომელი რეკამ შენ მანდა?

- ბუბა ვარ, ბიჭო, მომღერალი და მსახიობი, მალე პოლიტიკოსადაც გავიჩითები!

- ფშშშხხხ... ვაახ, ბუბაჯან, სად დაიკარგე, ტოოო?!

- რავი, იქით კონცერტები, აქეთ – პოლიტიკა, ველარ ვიცლი.

- ფსსსსსს... მაიცა, რა პოლიტიკა, შე ჩემა, შენა მე-19 საუკუნეში არ დაიბადე?

- გეშლება!

- ჰი, ჰი, ჰი!

— შენა... იცინე და ჩემ კაბინეტში დაუკაკუნებლად რო ვერ შემოხვალ, მერე ნახამ. მე კიდე მიშას ვეხვეწე, სიაში თენგოც ჩაწერემეთქი, „დურაკი“ არა ვარ, ჰა?!

- ფშხხხხ... რა სიაში, ტო?

- საპარლამენტოში, სხვა რა სია აქ მაგას?!

- მაიცა, „სერიოზნა“?

- მა რააა... ერთი გამახსენე, შენ რომელწლიანი ხარ?

- 1938-იანი, ტოლები ვართ, შე ჩემა!

- ჰოდა, „კაკრაზ“, შევალთ პარლამენტში და შევქმნით ფრაქციას – „ბებრისა რქანიც ეწევიან“, როგორია?

- ჰო, კაი იქნება, მაგრამ ეგ „რქანი“ არ მამწონს, უცნაურადა ჟღერს.

- ნუ დაიწყე ეხლა შენებურად, ეგ სხვა „რქებია“, მამულიშვილური, პატრიოტული და რამე!

- ფშხხხ... ჯანდაბას, რაც გინდა, ის დაარქვი, „ლიჟბი“ ჩვენი გავისწოროთ.

— თენგოჯან.

- რა იყო?

- გახსოვს, ბიჭო, რუსთაველზე რო დავრბოდით ავტომატებით? მართალია, მე დიდუბეზე ვიყავი მიმაგრებული, მაგრამ ხანდახან რუსთაველზეც შემოგივლიდით ხოლმე... კაი დრო იყო.

- ჰო, ავტომატებით რო დავრბოდით, მახსომს, მაგრამ რითვინ დავრბოდით, ეგ აღარ მახსომს.

- აუუუ, ღადაობ, ტოოო? აი, ქაშუეთის სამრეკლოდან ზარბაზანი რო ისროლე, ერთ რამედა ღირდა, რააა!

- ფშხხხ... რავი, ზარბაზანი არ მახსომს, მაგრამ ერთი კაცი რო ჩამოიდა მოსკოვიდან და „სამალიოტის“ კიბეებთან ყვავილებით დავხვდით, ბუნდოვნად ვხედამ ხოლმე სიზმარში. შენ ხო არ იცი, ეგ კაცი ვინ იყო?

- ედიკა იყო, შე ჩემა!

- აბა ედიკა?

— შევარდნაძე!

— შენა და... სად დაიკარგა?

- მოკვდა, წაიღო წერილი გაღმა!

- რა წერილი?

- რავი, მარილზე ეწერა რაღაცები.

— ჩემზე ხო არაფერი ეწერა?

- არა მგონია, მეც გადმოცემით ვიცი, ლანამ მითხრა, ღოღობერიძემ.

- ეგ რომელია?

- აი, ეგ არი, „როცა აყვავდა ნუში“ რო გადაიღო, ედიკას დაქალი, რა.

- აზრზე არა ვარ, ვერ ვიხსენებ.

- კაი, თენგოჯან, გაველი, არ მოიწყინო, ამ დღეებში გადმოგირეკავ.

მოხუცმა ტელეფონი გათიშა. ამოიხვნეშა. თავი ჩაჰკიდა. მისი გონება ისევ ფიქრმა წარიტაცა. მართლაც მაგარი იდეა მოუვიდა: თენგო, ლანა, ნანი... ეს ხალხი სჭირდება პარლამენტში, გამოცდილება აქვთ, ქიციც იციან და ქიცმაცურიც... ძაან მაგარ ფრაქციას შექმნიდა, ქვეყანას გამოიხსნიდნენ ოლიგარქისგან... ბოლოს და ბოლოს, ხუთ წელიწადში ერთხელ რევოლუცია თუ არ მოხდა, რაა მამული? დილით ავტომატის კაკანი რო გადაუვლის დედაქალაქს და ზარბაზნის გამაყრუებელი გუგუნი შესძრავს მთაწმინდას, ამაშია მთელი მუღამი. ჰი, ჰი, ჰი... ჩვენი დრო მოდის, მომავალი თაობისა... ერთხელ იყო და კიდე მოდის. აი, ბახრიბამ, ბახრიბააააამ, გოგოებო, ბიჭებოოოო, თქვენ გენაცვალოოოოთ, ბუბა ბიძიაააა... აი, ბახრიბამ, ბახრიბააამ, ოპაააააა!



ნოველა რეალურ ფაქტებზე დაყრდნობით დაწერა

გელა ზედელაშვილმა
555 48 48 61

საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

გაზეთის გავრცელების სამსახური: 599 58-72-50. ბესო ცარციძე (მენეჯერი).

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99

ISSN 2233-3983
9 772233 398001